



832
1955

ჩვენი

დროის

"NOTRE DRAPEAU"

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 21

გარები

მ მ მ მ მ მ მ

Paris.

1955

ს უ ლ ი დ ლ ი მ რ ი.

(29 აგვისტი)

არა ბუნებამ, თვით ქართველმა ხალხმა შეპქმნა უმთავ-
რესი პირობა თავის თავდაცვის. მუდმივ ბრძოლაში გაწრ-
თვნილმა, მან გააძლიერა და გააკაეთ თავისი სული. ეს სიმაგ-
რე სულის—მორალი ცხოველმყოფელი—იცავდა მუდამ ქარ-
თველ ერს და იცავს მას დღესაც საშინელ განსაცდელისგან.

ბუნების მიერ საქართველოსთვის დადებული საზღვრე-
ბი, ძალიან ძლიერნიც, უმნიშვნელონი არიან ამ სიმაგრესთან
შედარებით. მტერს არა ერთხელ გადაულახავს მრისხანე ზღვა
და გადაუვლია უმაღლესი მთები, დაუპყრია მთელი ქვეყანაც,
მაგრამ ვერასდროს მას ვერ დაუმორჩილებია ქართველი ერი:
ქართველის სული დაუძლეველი აღმოჩნდა.

ამისთვის ვიგონებთ ჩვენ გულმოდგინებით 1924 წლის
აგვისტოს დღეებს. უსაზღვრო გაბეჭდულებით და წინასწარ
განწირულ თავდადებით შეებრძოლა 1924 წელს ქართველი
ერი მახედ ბევრჯელ უფრო მრავალრიცხოვან და დაუნდო-
ბელ მტერს. იგი დამარცხდა ამ ბრძოლაში; მაგრამ ფიზიკუ-
რათ დამარცხებულმა, იმან უმაღლეს მორალის მაგალითი
მისცა მომავალ თაობას, მაგალითი ერთსულოვნების.

ქართველი ერი მტკიცეთ იცავს ამ ერთსულოვნებას. სი-
სხლით დაწურულმა შურის მაძიებელ მტრის მიერ, მან თავი
არ დახარა მოსკოვის წინაშე. ყველაფერი, რაც მოსკოვის
კარნახით კეთდება—და უამისოთ არაფერი კეთდება ჩვენში—
ხალხის ერთსულოვან წინააღმდეგობას იწვევს. სოფლის მეუ-
რნეობის კოლექტივიზაცია, ქვეყნის არაბუნებრივი ინდუს-
ტრიალიზაცია, სარწმუნოების, და საზოგადოთ სინდისის,
ყოველგვარ გამოხატულების დენა, მოსახლეობის გარსება
და სხვ.—ყოველივე ეს ჩვენში ქართველი ერის დასამორჩი-
ლებლათ არის მოწყობილი, მაგრამ ვერ აღწევს დანიშნულე-
ბას: სალი კლდე ქართველ ხალხის ერთსულოვნების აღიმარ-
თა მტრის მოქმედების წინააღმდეგ ჩვენში.

უსაშინელეს ტრალეფიას, გაუგონარს მის მრავალ საუ-
კუნიან ისტორიაში, განიცდის ახლა ჩვენი ქვეყანა. სულის
რაოდენი სიმტკიცე, გამძლეობის რაოდენი ლონე, სჭირია
ჩვენს ხალხს, რომ მან ეს უბედურებაც გადაიტანოს?

არავითარი გამამხნევებელი ამბავი საბჭოთა კავშირში მომწყველეობლ პატარა ერებს არ მოდის ამ უკანასკნელ ხანებში იმათგან, ვისაც მსოფლიოს ბეჭ-ილბალი უჭირავს ხელში. ჩვენ სუსტი ვართ მათ შევეღავოთ, რომ სწორი გზა დავანახოთ; ძნელია პატარა ერის ტრადედიამ რომ შესცვალოს გადაწყვეტილება დიდი სახელმწიფოების, მათი განხრავები, გეზი მათი მოქმედების. მით უფრო საჭიროა ჩვენთვის ერთსულოვნება, ერთსულოვნება ემიგრაციაშიც ისე, როგორც არსებობს იგი იქ, ჩვენ ტანჯულ ქვეყანაში; ერთსულოვნება შიგნით და გარედ; ერთსულოვნება ყველა იმ ერებთან, ჩვენსავით ჩაგრულნი და უფლება-აყრილი რომ არიან. 1924 წელს ჩვენი ხალხის გამოსვლა დამარცხდა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ მარტო ვიყავთ, სხვა ერები ამ გამოსვლას ვერ გამოეხმაურენ. საჭიროა ერთსულოვნება საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხოლო ჩვენი ქვეყნის დახსნის უმთავრესი იმედი ჩვენ მაინც ჩვენი ერის საკუთარ მოქმედებაზე უნდა დავამყაროთ, მის ყოფაქცევაზე შინ და იმ მცირე დახმარებაზე, თუ ამ დახმარებას შესძლებს უცხოეთში გაიზინული მისი ემიგრაცია. არ უნდა გადავამეტოთ ამ უკანასკნელის შესაძლებლობა. ემიგრაციის უმთავრესი იარალი მტრის წინააღმდეგ არის თავის ქვეყნის საკითხის პროპაგანდა უცნოეთში, იქ, სადაც თავისუფლებას აფასებენ და პატივსა სცემენ. საჭიროა ამ პროპაგანდის გაძლიერება, რადგან საზოგადოებრივ აზრს დიდი გავლენა აქვს ქვეყნის მმართველებზე თავისუფალ ქვეყნებში.

საქართველოს საკითხი წმინდაა და სამართლიანი, მას არც გაძერება სჭირია, არც გადამეტება; სინამდვილე თავისთავათ ყველაფრის მეტყველია. ჩვენ უნდა შევინახოთ და დავიცვათ გარეშეთა თვალში ლირსება და უფლებები ჩვენი ერის და პრესტიჟი ამისთვის პატიოსნათ და თავდადებით მომუშავეთა წარსულში და ახლა.

საჭიროა ეს საზოგადო აზრის მოსამზადებლათ, რათა ამ აზრმა ქვეყნის მმართველებზე გავლენა მოახდინოს იმ დროისთვის, რაცა ძალით თუ ნებაყოფლობით საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხს დაისმება მთელი მისი სიგრძე-სიგანით. ამისთვის არის საჭირო ჩვენი საკითხის ინტენსიური პროპაგანდა ყოველგან და ყველას წინაშე: ვინ იცის ხვალ ვინ როგორ გმოგვადება?

სწორეთ ამაში ძალიან მოიკოჭლებს ჩვენი ემიგრაცია და განსაკუთრებით იმასთან შედარებით, რაც ამ 20—30 წლის წინად იყო. ახლა—და ეს ყველამ უწყის—ჩვენი დანაწილების, ჩვენი შინაურ უთანხმოების ამბავი, უფრო გადის უცხო წრე-

ებში, ვინემ ამბავი ჩვენი ერთსულონების. ზოგი განზრას და ზოგიც შეუგნებლათ სსინის ამას უთანხმოებით თვით ძირითად საკითხში, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. შეიძლება ეს ფანდი იყოს, საპოლემიკო ფანდი; მაგრამ ასეთი ფანდიც კი დანაშაულია, —სხვა ეროვნებათა ემიგრაციებში მეტი უთანხმოებაა და უთანხმოება ძირითად საკითხებში, ვინემ ჩვენსაში, —და დანაშაულია უწინარეს ყოვლისა 1924წლის ძმონების წინაშე და იმ თავდაცებულ მამულიშვილთა სსოფლის წინაშე, სამსხვერპლონე თავი რომ მიიტანეს მაშინ და მიაქვთ ახლაც.

۱۳۵۶۵۰۸۵۰

მრავალჭირნაბულ თბილისის კედლებს აგვისტოს მხე
ჩეულებრივად ეალერსებოდა. განთავის სხივებს ძევლი
მთაწმინდა ოქროს თაღით შეეყმო. იყო კი, რაღაც იღუმალი
კონტრასტი ბუნების უდარდელ ლიმილსა და თბილისელთა
დალრეჯილობას შორის.

ქართლის ბედისა და უბედობის ურუკური მოწმე მტკვარიც, თითქოს მორიგ, დიდ უბედურებას წინაღმაპნობდა და იდუმალ ქვითინებდა.

ჰერიში აჯანყების სუნი ტრიალებდა, მაგრამ თბილისი არ ინძრეოდა. იგი საალყო წესებში ჩაიკეთა. ქუჩებს გამხეცებული ჩეკისტ-კომსომოლების ურდოვები დაეპარტონა. დაწყო ხალხის განუკითხავი რბევა.

დილის 10 საათზე ერთი რაზმელი, საწვიმარში გამოხვეული, ერვენის მოედანზე გამოჩნდა. იგი თავით ფეხებამდი შეიარაღებული იყო; იარაღს მხოლოდ საწვიმრის თხელი კალთები ჰქარავდა. ეს თავმოძულებული კაცი, დარეტანებული მთელი ლამის უძილობით და ნერვიული დაძაბულობით, ეკუთვნოდა იმ რაზმს, რომელსაც თბილისის ახლოს დაბანაკებული ჯავშნიანი ავტომობილები უნდა ჩაეგდო ხელში და გათენებისას ქალაქის განთავისუფლებას შესდგომოდა; მაგრამ უზედური გაუგებრობის გამო მტერი უკვე გაფრთხილებული იყო. ლამის პაემანი არ შესდგა; რაზმმა ამოცანა ვერ შეასრულა. ასევე მოხდა ჯავშნიან მატარებლებზე მცხეთაში; ასევე მოხდა ვაზიანში, სადაც, სხვებთან ერთად, ქართული ჯარის ნაწილები იყო დაბანაკებული. ამ ამოცანის შეუსრულებლობამ დაარღვია მთელი გეგმა და დედა-ქალაქმა ვერ ითამაშა ერის ლიდერის როლი.

დამოუკიდებლობის კომიტეტი იძულებული გახდა ქა-

ვ. ინტერირელის სიტყვა წაკითხული 18 სეპტემბერს ქართველთა სათვისტომოს საერთო კრებაში პარიზში.

ლაქიდან გაძინებულიყო და საერთო გეგმაში შექმნილ მდგომარეობის შესატყვისი შესწორებები შეეტანა. ამიერიდან, დედა-ქალაქის განთავისუფლება პერიფერიებიდან უნდა მომზდარიყო.

ეს იყო აგვისტოს აჯანყების პირველი დიდ მარცხი.

დედა-ქალაქი მოსწყდა საქართველოს სხვა კუთხეებს, მაგრამ ხალხური აფეთქება თავისი გზით მიემართებოდა.

აჯანყება მოედო მთელ საქართველოს და ადგილობრივ-მა ძალებმა თავიანთი ამოცანა მთლიანად შეასრულეს.

აჯანყებამ გაიმარჯვა დუშეთში, თელავში, ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში.

საოკუპაციო ხელისუფლების თავგასული თარეშით გამწარებული ქართველი ხალხი ერთხელ კიდევ გაერთიანდა და მტერს ეკვეთა დამოუკიდებლობის ღლებში განტკიცებული ერთობა ანაზღეულად ასლდგა და უცხოელ მოძალადის დამისი აგრძელების სალიკვიდაციოთ მოიმართა.

სახელმწიფოებრივი სიმწიფე და მოქალაქეობრივი მოვალეობის სწორი შემცენება ერთი ხელის დაკვრით არ შეიძინება. ის იქცედა რთული ისტორიული პროცესის გასწერივ-საუკუნოებრივმა სახელმწიფო ტრადიციამ ქართველი ერი დააჯილდოვა უალრესი მოქალაქეობრივი გრძნობით და კეთილშობილებით.

თითქმის ყველა სამხედრო ობიექტი აჯანყებულებმა პირველი დაკვრით გაანთავისუფლეს; კომუნისტური ძალები მთლიანად დაატუსადეს.

იმ დროს, როცა ელდა-ნაცემი ჩეკისტები ხელ-ფეხ შეკრულ მამულიშვილებს უმოწყალოდ ჟლეტდენ თბილისის ჩეკის სარდაფებში. აჯანყებული ხალხი ტყვე-კომუნისტების ყოველი შურისძიების აქტისაგან იცავდა, უვლიდა და ინახავდა. თავისი კეთილშობილებით, პოლიტიკური სიმწიფით და სახელმწიფოებრივი ღისცილინით, ქართველმა ხალხმა, აჯანყების დღეებში, ერთხელ კიდევ დაამტკიცა რომ ის ლირსია თავისუფლების და მას არავის გაათელვიებს. ხალხის შეგნებაში აჯანყება იყო დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებელი საფეხური, ქართული სახელმწიფოს განთავისუფლების პირველი პირობა. ეს უჯანასკნელი კი, თავდაცვის ბუნებრივი უფლების ფარგლებში მართებულ სანქციას დაადებდა მოლალატეთა და გარეწართა დანაშაულს. ამ შეგნებით, არეულობის დროის დამახასიათებელი გაუგებრიბის თავიდან ასაკილებლად, აჯანყებულები ვაჟებაცურად იკავებდენ თავს ყოველი შურის ძიების აქტისაგან.

როგორ დააფასა ეს რაინდობა საოკუპაციო ხელისუფლებამ? ცნობილია, რომ ბოლშევეკური აზროვნების ლაბირინტში ყოველი ცნება გადამუშავებული და შეტრიალებულია. აჯანყებულთა ლოიალობა მან ლაშრობათ მიიღო და

ურცხვად იკვეთიდა: იმ დროს, როცა ჩვენ ათასობით ვხვრეტ-დით ტუსალებს, აჯანყებულებმა ტყვე-ქმნილ კომუნისტებს თმის ბალანიც ვერ დაკლეს.

კაცობრობის ისტორია ბრძოლით და სისხლით იწერებოდა; ძლიერი სუსტს იპყრობდა, მაგრამ იშვიათია მაგალითი, რომ ბარბაროსული ტალღა უმაღლესი კულტურის მატარებელ სულს ხანგრძლივად დაპატრონებოდეს.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, 1921წელში, არ შეიძლება ჩვეულებრივ ძალადობის აქტად ჩაითვალოს. ჩვენს ერს თავის ისტორია უფალავ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუწერია, მაგრამ ეს მტრები მტრად მოდიოდენ, ამას არ მაღავდენ: ამაყობდნენ კიდეც. მოსკოვი კი საქართველოს «მეგობრად» ესტუმრა. ველური ხიშტები ქართველი ხალხის «განმათავისუფლებელ» იარაღთ გამოაცხადა. მან ვერ გაბედა თავისი ბინძური საქმისათვის ნამდვილი სახელის დარქმევა. ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური თუ ფიზიკური დაპყრობა, არამედ საერთო, ადამიანურ ლირებულებათა გათახისირება და აბუჩად აგდება. თავისუფლებას მოყვარული ქართველი ხალხის მოთმინება, ცხადია, ამას ვერ აიტანდა, ვერ შეურიცდებოდა. ამიტომ იყო, რომ ოკუპაციისადმი მტრობა მისი არსების განუყრელ შინაარსად გადაიქცა.

განა, წმიდა ფიზიკური გადარჩენის ანგარიშით არ სცადა მან ვერაგი მტრის თარეში შეენელებია და საბოლოო განთავისუფლებაზე ზრუნვა ხელსაყრელ მომენტისათვის გადაედო? მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლშევიკური დებულება: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტრია—რაც, სხვათა შორის საქართველოში ნამდვილ სინამდვილეს გამოხატავდა—მათ საესებით განახორციელეს.

როგორც აღვინიშნეთ, საოკუპაციო ხელისუფლება საქართველოში არ შეიძლება განხილულ იქნას ჩვეულებრივი საზომით. ის არ არის მოსული მხოლოდ ტერიტორიის თუ სახელმწიფოს საანგესიო. ის დატაკა ქართველი ადამიანის სულიერ საუნჯებებს. მის ისტორიულ მეს, მის ოჯახს და ტრადიციებს. ამიტომ, საქართველო დაუპირისპირდა მას არა მხოლოდ, როგორც ერი, დაპყრობილი და პოლიტიკურად განიავებული, არამედ, აგრეთვე, როგორც ცნობიერ და კულტურულ ადამიანთა კრებული, შელახული სინიდისის რეაბილიტაციას რომ ეძიებდა. ეს არის მომენტი, ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლას რომ საერთაშორისო ადამიანურ საუნჯეთა ჩარჩოებში აქცევს.

ამან კიდევ მეტად გაამწვავა ეროვნული ჩაგვრის განცდა და ბუნებრივად შექმნა აჯანყების საერთო ფსიქოზი.

შეიძლება ითქვას, რომ აჯანყების აფეთქებაში მებრძოლმა ორგანიზაციებმა ითამაშეს მხოლოდ ხალხის ბუნებრივი განწყობილების გეგმაში ჩამომსხმელის როლი. აჯანყება იყო ქართული სულის და სხეულის ბუნებრივი განწყობილების

გამოვლენა. ამიტომ დაეპატრონა იგი ასე ერთობლივად მთელ საქართველოს. ამიტომ მოხდა მოსი იოლი განზოგადოება. მას არ დასჭირებია არც წაექვება, არც პროპაგანდა.

ავტოსტო-სექტემბრის აჯანყება დღეს ქართველი ხალხის მრავალტანჯულ ისტორიას ეკუთვნის. ეს სისხლიანი დღეები მას მოსკოვმა მოახვია თავს. კაცობრიობას ბევრი ეროვნული აჯანყების მაგალითი მოეპოვება. თავის განთავისუფლების მიზნით სხვა ერებსაც მიუმართავთ ამ ტრალიკულ ხერხისათვის, მაგრამ არ არსებობს მთელი ერის ასე ერთდროული და ერთსულოვანი ამხედრების მაგალითი. ამდენად იგი, კაცობრიობის ისტორიაშიც უდიდესი ცხოველმყოფელობის და რაინდობის თარიღია, დადგრძნილი და ნაკურთხი თავვანწირული ქართველი ხალხის უმანყო სისხლით.

ჩვეულებრივად, მოცემული მოვლენის მიზანშეწონილობა მისი შედეგებით იზომება.

ასეთი ვულგარული მიდგომა ცხადია, არ შეეფერება არც აჯანყების მსხვერპლთა წმიდა ხსოვნას და ლირსებას, არც თვით ისტორიულ სინამდვილეს. ძნელია თანამედროვეთათვის ასეთი რთული მოვლენის შეფასება. ეს მით უფრო ძნელია დღეს, რადგან მტრის თარეში გრძელდება მთელი მასალის გადამლა საფრთხეს წარმოადგენს; მაგრამ ქართველი ხალხისათვის ის შეფასებულია; როგორც უდიდესი ეროვნული აქტი. აგვისტოს აჯანყების გეგმა მხოლოდ ერის განწყობილებას თუ მოუთმენლობას არ ეყმარებოდა. ის არ იყო თავმოძულებული ხალხის სასოწარკვეთილების გამომედავნება, არამედ ცივი ანგარიში, დამყარებული მტრის ძალების შეფასებაზე და მომავალ პერსპექტივებზე.

თუ არა საბედისწერო გაუგებრობა, თავისუფლების ყინით ამოძრავებული აჯანყებულთა ლეგიონები მტერს საქართველოდან ალვიდენ. არ იყო გამორიცხული არც სხვა კავკასიის მეზობელთა შემოერთება, რაც რუსულ ჯარების კავკასიის ქედის ჩრდილო ფერდობებზე გადაისცრიდა. ცხადია, არავინ იცის რა მოხდებოდა შეძლევ, მაგრამ ეს ხომ აჯანყების უშუალო პერსპექტივებში არ შედიოდა!

ამ ტრალიკულ დღეებში, თავის ეროვნულ ერთსულოვნებასთან ერთად, ქართველმა ხალხმა მტრის უსუსურობა და სილამაზე სინათლეზე გამოიტანა.

საქმარისია, მიუღომელმა დამკვირვებელმა ზერელედ შეადაროს აჯანყებულ ქართველთა სიდარბაისლე და ლოიალობა ბრძოლაში ოკუპანტების დაბნეულობას, სიმხდალეს და მხეცურ თარეშს, რომ ფიზიკურად დამარცხებული აჯანყება ქართველი ხალხის უაღრეს კულტურული სიმწიფის ნიმუშად გამოაცხადოს.

დამარცხდა აჯანყება და მტრმა მისი წუმპეში ამოსერა მოინდობა. იგი აგანტიურად მონათლა. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ მას ეს სჯეროდა კიდეც, რადგან გარყენილების

და სატიზმის წუმპეში ამოსვრილ ხელისუფლების ლექსიკონ-ში, როგორც ცსთვეით, ყველა დიდი ლიტებულება გარევნი-ლი და გათასისირებულია.

აგვისტო-სექტემბრის აჯანყების მორალური გამარჯვე-ბის პირები აქტი იყო მებრძოლი ორგანიზაციების დაუყო-ნებლივი აღდგენა და ძალების კვლავ შემოკრება მომავალი ბრძოლებისათვის. ბრძოლაში დაცემულ მამულიშვილთა სა-ხელები ეროვნული თავისუფლების სიმბოლოთ გადაიქცა, მისაბაძი მაგალითის მწვერვალზე ავიდა. ქართულ მოწამეთა მატიანეს ახალ ემისართა სახელები დაემატა. ეს სახელები წმიდაა, ხელუხლებელი. მათ გარს ახვევია ეროვნული დიდე-ბის შარავანდები. ყველა ქართველის მოვალეობაა ასევე წმი-დათ დაიცვას და შეინახოს იგი, რომ მომავალ თაობებმა მათ მაგალითშე ისწავლონ თუ როგორ ესმოდათ საზოგადო მო-ვალეობა მათ უფროსებს; როგორ უსიტყვოთ და უნგაროთ ეწირებოდენ და ასრულებდენ მას.

1924 წლის აჯანყებით დასრულდა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ეტაპი, მაგრამ მისი სული, მისი იდეალი გრძელდება და იცოცხლებს მანამ, სანამ მონობის ჯაჭვები საბოლოოდ არ დაიმსხვრევა. ის საამისო ლამპარია, გზის მაჩვენებელი, გამარჯვების საწინდარი.

დღეს მთელი კაცობრიობა გრძნობს თუ რა საფრთხე გაუჩნდა მას რუსეთში ბოლშევიზმის გამგრებით. რუსეთის პრიმიტიული მისტიკიზმი მუდამ გაუგებარი იყო მოაზროვნე კაცობრიობისათვის, მაგრამ ის კიდევ მეტად დაიწნა ბო-ლშევიზმის გაგებაში. ამ ტრალიკულ საიდუმლოებას ნელ-ნელა ეხტება ფართა და ქართველ ხალხს აქვს უფლება იამა-ყოს, რადგან მან, პირებელმა ააფრიალა ამ სლავ-მონგოლური ფერმენტის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. ეს დროშა არ არის მხოლოდ და მხოლოდ კერძო ეროვნული თავისუფლების სი-მბოლო, არამედ, აგრეთვე—ადამიანის ლიტებების, მისი ხელ-უხლებელი უფლებების დაცვის და განალდების გამოხატუ-ლება. ამდენად, ქართული საქმე საერთაშორისო ადამიანო-ბის ჩარჩოებში ექცევა და მისი გამარჯვება უზრუნველყოფი-ლია. მას კერ გასტეხს მტრის ეფემერული სიძლიერე.

ძეირი უჯდება პატარა ერს უთანასწორო ბრძოლაში გადაშვება, მაგრამ მას მრავალი ასეთი ბრძოლა გადაუხდია და გამარჯვებული გამოსულა. ასევე მოხდება დღესაც. ამი-სათვის კი საჭიროა ხალხმა ბრძოლაში დაცემულ გმირთა სახელები წმიდათ შეინახოს და მომავალ თაობებს გადასცეს.

მტერი არაფერს ზოგავს ქართული ბუდის მოსაშელელად. მან ყველაფერი ჰქნა რომ წარსული წაებილწა. ამ მიზნით იგი

ოჯახის განიავებას არ ერიდება. ქრისტეს მოღვაწეობიდან გამორიცხულია სიძულევილი მტრისადმიც კი. მაგრამ არსებობს უშრეტი ზიზის და მტრობის გრძნობა ჯალათისადმი, რაც უნდა ჩაითვალოს ქართველ მებრძოლის წმიდა მოვალეობათ სანამ იგი დამარცხებულია: ქართველმა იცის სულგრძელობის გამოჩენა, დანაშაულის პატივება ბრძოლის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ. ერთი ლეგენდის თანახმად, ტყვედქმნილ მტრის ჯარს, მისი ეროვნული დღესასწაულის გამო თამარ მეფემ ალლუმი გაუმართა და გულუხვად გაუმასპინძლდა. ტარიელი ხატაველთა მეფეზე ამბობს: «ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგვანე, ასეთია ვაჟკაცისა მეტის მეტი სიმღულვანე».

ბრძოლის პერიოდში მტრისადმი მტრობა უწმიდესი მოვალეობა. ამ მოვალეობის შესრულებას სჭირდება ისეთივე ერთსულევენება, როგორიც შეიქმნა ჯერ დამოუკიდებლობის დღეებში და შემდეგ აჯანყებაში.

ფიზიკურად დამარცხებული აჯანყების დროშა უნდა მიტანილ იქნას თავის ადგილზე. ვისაც აგვისტოს სისხლიან დღეებში თბილისის ქუჩებში გაუვლია, მისი ხსოვნიდან არ ამოიმლება ოკუპანტების ლაქტული თარეშის საზიზდარი სურათი. იმ დროს როცა აქვითინებული დედები ბრძოლის ველზე განგმირულ შვილებს ეძებდენ; როცა მთელი ერი გლოვის ძაქებით შეიმოსა, სადისტჩეკისტების ფანჯრებიდან მხიარული მუსიკის ხებით გაისმოდა. ამის დავიწყება შეუძლებელია, დანაშაულია.

აგვისტო-სექტემბრის დღეებში დალვრილი მამული-შეილთა სისხლი ერმა უნდა აიღოს. მაშინ, მისი დაფლეთილი დროშაც მთაწმინდის სიმაღლეზე აღიმართება.

დღეს კი, ჩევნჩეა დამკიდებული თუ როგორ შევასრულებთ აგვისტოს ანდრეძს.

დრო მიღის. უამთა ბრუნვაში ქართული ემიგრაცია იცელება. ჩევნ დაკვარებეთ ბრძოლისა და პოლიტიკის უდიდესი ლიდერები. ამ უბრძოლებას საერთო ძალით სჭირდება მოვლა.

დაპყრობილი პატარა ერის მოძრაობაში ყველა ელემენტს თავისი ამოცანა აწევს. ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის მატარებელია ქართული ემიგრაცია. მან, საერთო ძალით უნდა შესძლოს რიგების გამთელება, რათა დამონებული ხალხის ტკივილებს საერთაშორისო მალამო მოუნახოს. მხოლოდ და მხოლოდ, მაშინ შესძლებს იგი აჯანყების მსხვერპლთა ლირსული მემკვიდრეობა შეინახოს. მაშინ წარსდგება იგი პირნათლად მშობელი ერის წინაშე.

საბჭოთა აღაშიანი და კომუნისტური მოჩალი.

ვინმე ბიწაძე «საქართველოს კომუნისტი»-ს № 2-ში ცდილობს საბჭოთა სინამდვილეში ახალი მორალის დამყარებას გამოუნახოს მყარე საფუძვლები, შეუფარდოს ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამართლოს დიქტატურის მიერ დაწესებული წენ-ჩვეულებანი.

კომპარტიის მიერ შექმნილ მორალზე აღზრდილი ადამიანი არ შეიძლება თურმე არ იყვეს აღსავსე პატიოსნებით, სპეტაკი, პირდაპირი, თავდათვებული მეგობარი, მგრძნობიარი, მოსიყვარულ და მეოჯახე—ერთი სიტყვით საუკეთესო თვისებებით დატვირთული და რასაკვირელია თურმე ამის სრულ საშვალებას იძლევა საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა. პირებელი ნიშანდობლივი საფუძველი, რომელზე-დაც იზრდება და იფურჩქმნება იდეალური ადამიანი ყოფილა ახალი დამოკიდებულება შრომისადმი.

შრომა ხალისიანი მიმზიდველი, რადგან მუშები გმირებათ იქცევინ, ფიზიკურ ძალლნებს არ ზოგავენ. ბიწაძეს უსათუღლ შეთვისებული აქვს კომპარტიის მორალი, წინაამდეგ შემთხვევაში ის დაინახვდა, რომ შრომა საბჭოთა ქვეყანაში მონურ პირობებშია, წალებითა და ტანჯვითა სავსე.

კომუნისტურ მორალი მუშისგან თხოულობს ზედმეტი შრომის გალებას, უკანასკნელ ძალის დაჭიმვას, გაასკეცებულ ენერგიის გალებას. ენდება ადამიანის პიროვნების ჩაგრა კოლექტივის—სახელმწიფოს მიერ, უკანასკნელის მოთხოვნილების დასაქმაყოფებლად. საბჭოთა კონსტიტუციამ დაკანონა ეგ. წილ. შრომის დისკიპლინა, ის აუცილებელი შეიქნა სუთ წლედების შესრულებისთვის, ურომლისოთ სახემწიფო პარატის, დიქტატურის დასაყრდნობ ბიუროკრატიის შენახვა შეუძლებელია. მუშა მიმაგრებული აღმოჩნდა ერთ სამრეწველო დარგზე, მას მოუსპეს საშუალება შრომის პირობებში თავის აზრი გამოთქვას, მუხრუჭებში ზღუდავენ მის გონიერას, ასუსტებენ თანადათნობით მის ფიზიკურ გამძლეობას და თავისუფალ მოქმედების უნარს. ე. წ. «სოციალისტური შრომა» ესაა ნამდვილი ახალი ფორმა შრომის ექსპლოატაციისა სახემწიფოს მიერ; მაშინ, როცა დასავლეთის ქვეყნებში შრომა კანონით დაცულია, პროფ. კაეშირები შრომის პირობების დარაჯია, საბჭოთა ქვეყანაში ისინი ხელისუფლების მიერ დაწესებულ პირობების შემსრულებელი არიან. დასავლეთში შრომა თავისუფალია, საბჭოეთში შრომა მონობაშია, იგი მორალიდან განშორებულია, მშრომელიც მონათ ქცეულია, ახალი დამოკიდებულება შრომისადმი კომუნისტურია—ამორალურია...

საბჭოთა ადამიანის მორალური სახის ერთ-ერთ ნიშანს, —ამბობს ავტორი, შეადგენს—«სოციალისტური საკუთრების დაცვა მტაცებელთაგან»—მაგრამ ეს მტაცებელობა სისტემით გადაქცეულა. 1954 წლის ოქტომბერ-მარტის რიცხვებში პარტიის ც—რი კომიტეტი უშევბს დადგენილებებს სახე-მწიფო ქონების დასაცავად—მტაცებლობიდან. ეს ხომ გუშინ დოკუმენტი ამბავია. მაშასადამე უნდა დავასკვნათ საბჭოთა მართველობას უკავე ჩანგრძლოვ არსებობის შემდეგ ვერ დაუმყარებია მოქალაქეებში ის მორალი, რომლითაც ასე ტრაბარების ბიწადის თეორიას... მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ კომპარტიის მორალი გზას უხსნის მოქალაქეს, აქცებს, ერკება არსებობისთვის ათასგარეთ ხვრელებით იაროს, ყოველ დღიური ბრძოლით გაუქმდს ცხრილების იმ აუტანელ პირობებს, რომლებიც მას შეუქმნა საბჭოთა წყობილება. ეგრეთ წოდებული ხალტურის ქსელი, რომელშიაც თვით ბიურკრატიკა გახვეული ერთი დამამტკიცებელი მოვლენაა მოქალაქეთა თავგანწირული ბრძოლისა... ვინაა დამნაშავე ამ არა ნორმალურ მოვლენათა? თვით სახელმწიფო—რომელიც იტაცებს მოქალაქეთა ნაშრომს, საშინელ ექსპლოატაციას უშება მის შრომას, უკანასკნელს აღარ ყოფინს მოთმინება და შეიძლება გაგონილიც ქონდეს ლენინის ლოზუნგი: «გრაბ-ნაგრაბლენოვე»—და იგიც ცდილობს გამოვლიჯოს საკუთარი შრომის ნაყოფი...

ქურობადა და ავანგარბა, რომელ ქვეყანაში არ ხდება. მაგრამ მას არ აქვს მასიური ხასიათი, არ იქმნება თეორიები და არ იწერება მოწინავე წერილები პრესაში. თითოეულ შემთხვევას კანონი სჯის. დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეს შეგნებული აქვს სად იწყება მისი უფლება საკუთრებაზე და რას წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესები. უკანასკნელი დარაჯია მოქალაქეთა შორის სამართლინი ურთიერთობა დაიცვას, ის დამცველია მოქალაქეთა შრომის, საკუთრების, მისი ინტერესების, მოქალაქეც ვალდებულად სთვლის თავს სახელმწიფო ქონებას ფაქიზათ მოვაკრას...

კომუნისტური მორალი გამსჭვალული ყოფილა სხვა ერების თავისუფლების პატივისცემით, მისი ეროვნული ინტერესების დაცვით, ეს უნდა შეითვისოს საბჭოთა მოქალაქეებში. ჯერ ერთი ამ უკანასკნელს არავინ კითხება იმ აგრძელებულ, იმპერიალისტურ-მტაცებლურ პოლიტიკას, რომელიც უკვე ჩატარა მოსკოვის დიქტატურაში. საბჭოთა ადამიანის შეკვებაში,—კომპარტიია ცდილობს შეიტანოს არა ხალხთა მეგობრობის, ეროვნულ თანასწორობის იდეა, არამედ სიძულვილი ყველა მათ მიმართ, რომლებიც მაშინ იქნებიან სანდო მოკავშირენი, როცა იქ დაყარდება საბჭოთა სისტემა. განა ამაზე არ ააგო მოთელი თავისი პოლიტიკური სტრატეგია ლენინმა და ათეულ წლების განმავლობაში იქადაგეს მისმა მიმღებრება?.. კომუნისტური მორალი გალისხმობს პუმანიუ-

რობას, სიყვარულს ადამიანისა ადამიანისადმიო. ესაა ბიწაძის ფანტაზია. ლენინ-სტალინის დებულებით სიყვარული ბურეულაშიული გრძნობაა, კომუნისტი უნდა იყვეს რეინის ნერვებით, ფოლადის ნებისყოფით,—სასტიკი და დაუნდობელი. კომპარტიის მორალს თურმე შეუქნია პრინციპი «ყველა ერისთვის, ერთი ყველასთვის». მაგრამ ჩევნ დავინახეთ რომ საბჭოთა სინამდვილემ შექმნა: ყველა ერთისთვის—დიქტატურისთვის. საბჭოთში წარმოებული კრიტიკა და თვითკრიტიკა კი დამახასიათებელი ყოფილა პირდაპირობის, გულაწილობის. მაგრამ ათეულ წლების მანძილზე თვით კომპარტიაში წარმოებული თვითკრიტიკა გახდა იარაღი პიროვნული და ჯგუფური ინტერესების დასაპირისპირებლად, ერთი მეორეს წინააშლებ მიმართული, მალალ ხელისუფლების წინაშე ფორთხვებისა და წინ წაწევის მიზნით, თანამებროლის და საკუთარ ამხანაგის პიროვნების გაქირდვა და გაკიცხვა, ყალბ ბრალდებათა შექმნა, მათი გაზიადება და ხშირად მათი ამ ქვეყნიდან საიქიოს გასტუმრება. სწორედ ეს თვითკრიტიკა—განდა წყარო ამორალობის, სიცრუის და თვალმაქცობის; თაღლითობა და სიცრუე დასახულ მიზნის მისაღწევათ—სწორედ დიქტატურის აპარატის მიერ არის შექმნილი.

მოწინააშლევეთა გასანადგურებლად ითხება დოკუმენტები, იწერება საბრალდებულო ოქმები, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს ბრალდებულმა, სასიკედილო განაჩენზე თანხმობა უნდა განაცხადოს და ეს მისი აღსარება ფინიქურ, სულიერ ტანჯევებშია მიღებული. ესაა მორალი საბჭოთა მართველობის...

კომუნისტური პარტიის პატივისცემა ოჯახისადმი მის წევრებისადმი, ცნობილია, საქმარისია გადაიკითხოთ პროვინციის პრესა, შეიგ წერილოფება, ბობოლა კომუნისტების შეილის მამაშე წაქეზება, თუ ის საქმაო ერთგულებას ვერ იჩენს რეემის მიმართ.

ახლად მიღებულ პარტიის წევრის მიმართ წინასწარ წაყენებული პირობები, ახლობლის, მეგობრის, მეზობლის დასაბეჭლებლათ,—ე. წ. მავნებლობის გასამხელად... კომპარტიის მორალი ადამიანის სულისა და გულისთვის საწამლავია. იგი აღიძებს მასში მოცემულ უარყოფითი მხარეებს და ადუნებს და აჩლუნებს ადამიანის დადგებითი თვისებებს. ცოდნობს დაეპატრონოს მის სულს, გონებას, წარმართოს მისი გონების განვითარება ცალმხრივად, გაიხადოს ის მონად, მორჩილად. საბჭოთა მწერლობას ხომ მრავალჯერ დაევალა ამ ახალ კომუნისტურ იამბაზში გამოვლილ საბჭოთა ადამიანის პიროვნების გამოკვეთა, მას ხელში შერჩა ტიპი წითელი ბიუროკრატის, პრივილეგიური კლასის წარმომადგენელი. ხელისუფლებამ გასწყვიტა ძველი თაობა, რადგან მის სულს ვერ დაეპატრონა, ხელი მიჰყო ანალთაობის აღზრდას თავის მორალზე. დრო მიღის მოქალაქეთა დაკომუნისტურ მორალს

შორის სწარმოებს ჩუმი, შეუწყვეტელი ბრძოლა. ამიტომაც პარტიას სჭირდება პოლიცია, უხეში ძალა მის დასამორჩილებლად. კომპარტიის მორალმა დავადა მართველი წრე, დაავათმყოფა საბჭოთა საზოგადოება. მან სავსებით ვერ დაიპყრო მოქალაქის პიროვნება და ვერ შეათვისებინა მას კომუნისტური მორალი...

პ. ხარჯველაძე.

„პარიზის ბლოკი“-ს პოლიტიკის.

ამა წლის 7 ოქტომბერს, მიუნხენში შესდგა პარიზის ბლოკში შემავალ სხვადასხვა ეროვნულ პოლიტიკურ ცენტრების დელეგატთა კონფერენცია. კონფერენციას დასწრენ: უკრაინელების, ბელორუსების, იდელ-ურალის ხალხების (თათრები, ბაშკირები და სხ.), თურქესტანლების, ჩრდილოეთ კავკასიელების, აზერბაიჯანლების, სომხების და ქართველების წარმომადგენლები.

როგორც ვიცით, პარიზის ბლოკის დაარსებას ჩაეყარა საფუძველი სამი წლის წინ გერმანიაში ქ. კარლსრუჟში და შემდეგ სავსებით ჩამოყალიბდა პარიზი, რომლის სახელ-თან დაკავშირდებულია მისი სახელწოდებაც.

კონფერენციის დღიურ წესრიგში იყო აღნუსხული შემდეგი საკითხები: 1. ბლოკის დროებით ბიუროს მოხსენება წარსულ მუშაობაზე და მომავალ საორგანიზაციო საკითხებზე, 2. ბ. ცინკაძის პოლიტიკური ხასიათის მოხსენება, 3. წესდების დამტკიცება, 4. ახალი წევრების მიღება და 5. სახელწოდების შეცვლა და რეზოლუციები.

ბიუროს თავმჯდომარის ბ. აბრამჩიკის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუროს მუშაობა ამ ხნის განმავლობაში გამოიხატებოდა უმთავრესად ამერიკულ კომიტეტთან ურთიერთობის დამყარებაში და ბლოკის წევრთა შორის მცირდო კავშირის და კონტაქტის განმტკიცებაში... ამის შემდეგ ბ. აბრამჩიკი შეეხო მომავალ საორგანიზაციო საკითხებს...

ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ბ. ნ. ცინკაძის პოლიტიკური ხასიათის მოხსენებამ მართლაც დიდათ დააინტერესა მთელი კონფერენციის შემადგენლობა. შეიძლება თამამათ ვთქვათ, რომ ნოე ცინკაძის მოხსენებაში პოვა სრული განსახიერება იმ აზრებმა, რომლითაც ხელმძღვანელობდნ ამ გაერთიანების მეთაური მისი დაარსების დროს. თითქმის ყველა ორატორები ეთანხმებოდენ მოხსენებაში წამოყენებულ დებულებებს... კონფერენციის მორიგმა თავმჯდომარე D-r Sultan-მა განაცხადა, რომ ბ. ცინკაძის მოხსენებაში აღნიშნული დებულებები უნდა გახდეს სახელმძღვანელოთ ჩენი საზოგადოებისათვისო... ის იძლევა აგრეთვე წინადადებას ბ. ნ. ცინკაძის მოხსენება მთლიანათ გამოქვეყნდეს



ბლოკში წარმოდგენილ სხვადასხვა ეროვნებათა პრესაში... ეროვნული პიროვნების წინა-დადებებს. მომხსენებელი თავის მოხსენებაში ეხებოდა დღე-ვანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ მომენტს და აქედან გამომდინარე ის არკვევდა მოსკოვის მიერ დაპყრობილ ეროვნებათა ბრძოლის ტაქტიკას. მომხსენებელი განმარტავდა, რომ დაპყრობილ ერებს თავის განმანთავისუფლებელ ბრძოლის პროცესში ჭირდებათ მებრძოლთა ფრონტის გაძლიერებათ და ამისათვის მას მიაჩინა საჭირო ერთი ძლიერი ფრონტის შექმნა ე. წ. სატელიტების პოლიტიკურ ცენტრებთან და რუსეთის ემიგრაციის დემოკრატიულ ნაწილთან—თუნდაც კოორდინაციის ან კონტაქტის სახით. მომხსენებელი განმარტავს რომ მხედველობაში მხოლოდ ის რუსული დაჯუფებანი ყავს, რომელთაც შეენებული აქვთ თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებები (იგივე ეროვნული საკითხი). აგრეთვე აუცილებელ სწიროებათ არის მიჩნეული მომხსენებელის მიერ თავისუფალ დასავლეთის და განსაკუთრებით ჩრდამერიკის დემოკრატიის დახმარება და ბრძოლის პროცესში. ამასთანავე მოხსენებაში მაღლობით იყო აღნიშნული დასავლეთ გერმანიის მთავრობის მტკიცე პოზიცია რეპარტიაციის საკითხში და გამოთქმული იყო იმედი, რომ გაერთიანებული გერმანია საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპყრობილ ქვეყნების განთავისუფლებაში შესაფერ როლს ითამაშებს. თანახმად მომხსენებელის წინადადებისა კონფერენცია ადგენს შესაფერი მიმართვები გაეგზავნს: გერმანიის მთავრობას, ამერიკულ კომიტეტს და განსაკუთრებით მის თავმჯდომარეს მრ. სერეკანტს, ე. წ. სატელიტების პოლიტიკურ ცენტრებს და რუსულ ემიგრაციის დემოკრატიულ სექტორს...

შემდეგ მიღებულ იქმნა ახალი წესდება. წესდების თანახმათ ყველა პრინციპიალური საკითხები წყდება შეთანხმებით... გაერთიანების საქმეებს განაებს და მთელ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებს აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი. აღმასრულებელ კომიტეტში კი იქნებიან წარმოდგენილნი ეროვნული ცენტრები თითო წარმომადგენელის სახით. კონფერენციები ეწყობიან წელიწადში ერთ-ხელ.

მიღებულ იქმნა წევრათ ყირიმელ თათრების წარმომადგენლობა და კაზახების განცხადება კი გადაეცა აღმასრულებელ კომიტეტს დამატებითი ცნობების შესაკრებათ...

ამიერიდან გაერთიანებას «პარიზის ბლოკი» ს მავიერ ეწოდება: «საბჭოთა კავშირის ერების გამანთავისუფლებელი ლიგა».

კავკასიონთა თათბირი.

პარიზის ბლოკის კონფერენციაზე (მიუნხენში) ჩამოსულ სომხების დელეგაციის მეთაურის დენ. დროს ინიციატივით მოწვეული იყო კავკასიონთა თათბირი. ამ თათბირზე ორატორები აღნიშნავდნ კავკასიური პოლიტიკური ძალების გაერთიანების და მომავალში ერთი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის საჭიროებას...

ბ. რაედენ არსენიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, თუ ჩვენ კავკასიონებს მართლაც გვსურს კავკასიის გაერთიანება და ერთი სახელმწიფოს შექმნა ფედერაციის თუ კონფედერაციის სახით—იმ შემთხვევაში ყველამ უნდა მივიღოთ თვით კავკასიის ორიენტაცია და სხვა ორიენტაციების ძებნას თავი უნდა გავანებოთოთ...

მისმა ასეთმა გამოსვლამ გამოიწვია მხურვალე ტაში და-მსწრეთა შორის...

სამორი მდგრადარეობა მსოფლიოში

ბა ჩვენი მიზნები.

(ნ. გ. ცინცაძის მოქანენიდან, რამედიც მან წაიკითხა 1955 წ. 8 ივნისის დღეს გამოიწვია მსწრეთა გამოსახულის გამოსახულის განმათავისეულებელი ლიგა»-ს წარმეტადგენცოდა კონფერენციაში მიუნხენში).

როგორ და რით სულთქავს და სულდგმულობს კაცობრიობა დღეს? რა ვიცით ჩვენ ამაზე? როგორია ჩვენი რეაქცია და როგორი უნდა იყოს ჩვენი ამოცანები?

თქმა არ უნდა, პრეტენზიონული იქნებოდა, რომ მე მეკისრა—გადავშალო თქვენს წინაშე რამოდენიმეთ მანც სრული სურათი იმისა, თუ რა ხდება შინ და გარეთ საბჭოთა იმპერიისა, ან კიდევ მოგცეთ დაახლოვებითი ამომწურავი ასახვა და დაფასება საერთაშორისო მდგრადეობისა მისი პერსპექტივით...

ჩემს განზრახვაში შედის მხოლოდ—აღნიშნო ზოგადათ და სქემატიურად მსოფლიო ვითარების ძირითადი ტენდენციები და მას გადავაბა ჩვენი გაერთიანების მიზანი და ამოცანები შეფარდებით სათანადო პოლიტიკურ-სტრატეგიულ კონცეპციასთან.

როგორ შეგვიძლია ჩვენ დავახასიათოთ თანამედროვე სულიერი მდგრადეობა მსოფლიოში, რომელიც საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს მიმდინარე ეპოქაში კაცობრიობის ბედის მესაჭეთა პოლიტიკურ აქციებს?

ზავის წარმომადგენლის შეუპყრია გაცდიბრიობა. ის უიმედოთ ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული ეკილიბრი და მყუდროება. კრემლიც მშეიდობიანობის მოტივითიალე-მოყვარულის სა-

მოსუში გვევლინება. ადამიანურ, უაღრესად ადამიანურ, ლტოლვას მშვიდობიანობისადმი მაქსიმალურათ და უმაგალითო მნაკერობით იყენებენ რკინის ფარდის იქით, მსოფლიოში ძალმომტკობით დაპყრობილ პოზიციების შესანარჩუნებლად, იმ პერსპექტივით, რომ, მორიგი შესვენების შემდეგ, ჩამოიხსნას მშვიდობიანობის პირ-ბადე და ხელახლა შეებას თავისუფალ კაცობრიობას გადამწყვეტ ბრძოლაში. ყველივე ამან დაბადებას გადავლეთ ქვეყნებში მავნე ილიუსტრიები—ხომ ხედავთ, ბოლშევიკები უარს ამბობენ დაანთონ ცეცხლი მსოფლიო ომის საშვალებით. და ასე, ტკბილი, სასიკვდილო საწამლავით იქლინოთ ჯანსალი ორგანიზმი.

რას ამბობენ ფაქტები?

თითქოს არ არის ძნელი გასაგები, რომ სახელმწიფო
სარჯოთალრიცხვის 23 პროცენტით (1955 წ.) გადიდება მძიმე
მრეწველობის სექტრში, ნაკარნახევია არა «მამობრივი»
მზრულელობით და ხალხის ტყივილების განკურნების სურ-
ვილებით, არამედ, ის უფრო მოწმობს და მცენრებულებულ-
რათაც ადასტურებს ჩაუქრობელ სწრაფვას, რომ «დაეწიონ
და გაასწრონ» თავისუფალ ქვეყნებს სამხედრო ტექნიკის გან-
ვითარების სფეროში საერთოდ, და სამხედრო-ატომიურში,
განსაკუთრებით. და რომ მათ შესძლონ ამ მხრით წინ გაასწრე-
ბა და აშკარა უპირატესობის მიღწევა—არ დააყოვნებენ, რა-
საკვირველია, რომ კაცობრიობას ძალით უკარნახონ თავის
ნება-სურვილი...

საბჭოთა იმპერიის შენობის ფასადის ორნავ ჟელებულ ფანჯრიდან—იქითა მხარეს განწყობილება ჩვენ გვეხატება ას; ბარაბანის ხმაური მშვიდობინანობაზე, «მშვიდობინი თანა-არსებობა», თანაარსებობა «პასიური» და «აქტიური», ნეიტრალიზმი და ნეიტრალიზაცია—დამხმარეთ... მთელ ამ ხმაურს და განგაშს ახასიათებს აშკარა ლოროვა გარკვეული მინი-საკენ: მრავალნაირათ ნაცალი მეთოდით, სისტემატიურათ ერთი და იგვევს ჩიჩინით, სურთ დაუჩქრუნგონ შეგნება და ნებისყოფა მოწინააღმდეგებს, და მით დასუსტონ მისი წინააღმდეგობის უნარი და შესაძლებლობა. და ასე შეუწყვეტელი «ნაზი» გალობა მშვიდობინანობაზე...

გავერკვეთ და გარკვიოთ: მართლადაც, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? დღემდე, ვდიქრობ, არავის არ განუმარტებია წესიერათ, თუ რა შინაარს სდებენ ამ, ბევრისათვის მომხიბლველ—«თანაარსებობის» ფორმულაში. თითქოს სწორია, რომ ის უნდა გულისხმობდეს ერთგვარ კრისტალიზაციას ორი ქვეყნისა, ორი ბლოკის, ორი სისტემის, რომელთაგან ერთის ცენტრია—მოსკოვში, მეორესი—ვაშინგტონში,—უსიტყვა შეთანხმებით (მათ შორის რასკვირველია), რომ ერთია-მეორე არ შეიქმნონ.

განვიხილოთ კონკრეტულათ თუ რა სახით უპირდაპირ-ლება ეს ორი «თანააზისი» სექტორი ერთიმერება:

а) ўрточны мэтыніт арыніс ქვეყанаңа үзбікізгірлеса-ланурую өмір-а-
 та-арынішмініса, үрта-ва-ад Үзбікізгір-леса-ланурую өмір-а-
 та-арынішмініса, үрта-ва-ад Үзбікізгір-леса-ланурую өмір-а-
 та-арынішмініса, үрта-ва-ад Үзбікізгір-леса-ланурую өмір-а-

б) ўрточны мэтыніт—«ქვეყанаңа მო-неді-іс, ქვეყанаңа ბа-ტ-ო-н-е-ді-іс».
 მ-е-ო-რ-ე მ-е-р-ი-т—თ-ა-ვ-ი-ს-უ-ფ-а-ლ- მ-ო-კ-ა-ლ-ა-ქ-т- ს-ა-მ-ფ-ლ-ო-ბ-ე-ლ-.

в) ўрточны мэтыніт ქვეყанаңа და-ხ-ა-გ-რ-უ-ლ- ე-რ-ე-ბ-ი-ს-ა («ხ-ა-ლ-თ-ს-ა-
 პ-კ-უ-ლ-ო-ლ-»), მ-ე-ო-რ-ე მ-ე-რ-ი-т—ქ-ვ-ე-ყ-ა-ნ-ა თ-ა-ვ-ი-ს-უ-ფ-ა-ლ- დ-ა გ-ა-ნ-თ-ა-
 ვ-ი-ს-უ-ფ-ლ-ე-ბ-უ-ლ- ხ-ა-ლ-თ-თ-ა-.

г) ўрточны мэтыніт—ი-ძ-უ-ლ-ე-ბ-ი-т-ი ბ-ა-ტ-ო-ნ-ი-მ-უ-რ-ი შ-რ-ო-მ-ა, ს-ა-
 კ-ო-ნ-ც-ე-ნ-ტ-რ-ა-ც-и-о ბ-ა-ნ-ა-კ-ე-ბ-ი დ-ა ს-ო-ც-ი-ა-ლ-უ-რ-ი მ-ო-ნ-მ-ბ-ი-с ს-უ-ლ-ი
 ს-а-ე-რ-т-о-д- მ-ე-ო-რ-ე მ-е-რ-ი-т ქ-ვ-ე-ყ-ა-ნ-ა თ-ა-ვ-ი-ს-უ-ფ-ა-ლ-ი შ-რ-ო-მ-ი-с, რ-ო-
 მ-ე-ლ-ი-ც- მ-ე-დ-გ-რ-ა-ტ დ-ა ი-მ-ე-დ-ი-ა-ნ-ა-ტ მ-ი-მ-ა-რ-თ-ე-ბ-ა ს-ო-ც-ი-ა-ლ-უ-რ- ს-ა-
 მ-ა-რ-т-ლ-ი-ა-ნ-მ-ბ-ი-с წ-ყ-ო-ბ-ი-ლ-ე-ბ-ი-ს-ა-კ-ე-ნ-.

დ-ა ა-ი ა-მ ღ-ო ქ-ვ-ე-ყ-ა-ნ-ა-ს, ც-ხ-ო-გ-რ-ე-ბ-ი-с ღ-ო ს-რ-უ-ლ-ი-ა-დ შ-ე-უ-
 თ-ა-ვ-ე-ბ-ე-ლ- კ-ო-ნ-ც-ე-პ-ც-ი-с მ-ა-ტ-ა-რ-ე-ბ-ე-ლ-т- tacitement, მ-ა-რ-ა ი-მ-პ-ე-
 რ-ა-ტ-ი-უ-ლ-ა-ტ, უ-კ-ა-რ-ა-ნ-ე-ბ-ე-ნ ჩ-ი-ს-კ-ე-დ-ი-ნ თ-ა-ვ-ი-ა-ნ-ტ ს-ო-ც-ი-ა-ლ-უ-რ- პ-ო-
 ლ-ი-ტ-ი-კ-უ-რ- ხ-ტ-ო-შ-ი: შ-ე-—ჩ-ე-მ-თ-ვ-ი-ს, მ-ა-გ-რ-ა-მ შ-ე-ნ-ც-—შ-ე-ნ-თ-ვ-ი-ს-!
 ს-ა-ბ-ო-ლ-ო-ო- კ-ი-ს ნ-ი-შ-ნ-ა-ვ-ს ს-ტ-ა-ბ-ი-ლ-ი-ზ-ა-ც-ი-ა-ს დ-ა დ-ა-კ-ა-ნ-ი-ნ-ე-ბ-ა-ს
 («დ-ი-დ- ხ-ი-ი- დ-ა ს-ე-რ-ი-ო-ნ-უ-ლ-ა-თ-?») ა-რ-ს-ე-ბ-უ-ლ-ი მ-დ-გ-ო-მ-ა-რ-ე-ო-ბ-ი-ს,
 რ-ა-დ-გ-ა-ნ ი-გ-ი—«გ-ო-ნ-ი-ე-რ-ი დ-ა ხ-ე-ლ-უ-ხ-ლ-ე-ბ-ე-ლ-ი-ა-»(?)

ს-ა-კ-ი-თ-ხ-ა-ვ-ი-ა-—ა-რ-ი-ს კ-ი-ს ყ-ო-ვ-ე-ლ-ი-ვ- წ-ა-რ-მ-ო-ს-ა-დ-გ-ე-ნ-ი ა-ნ შ-ე-
 ს-ა-დ-ლ-ე-ბ-ე-ლ-? გ-ა-ნ-ა ა-შ-ე-ა-რ-ა ა-რ უ-ნ-დ- ი-ყ-ო-ს, რ-ო-მ ე-ს ა-რ-ი-ს შ-ე-დ-ე-გ-ი
 ე-პ-ე-კ-ა-ლ-უ-რ- უ-მ-წ-ე-ო-ბ-ი-с- დ-ა, თ-უ გ-რ-ე-ბ-ა-ვ-თ, უ-კ-ი-დ-უ-რ-ე-ს- დ-ა-კ-ი-
 ნ-ე-ბ-ა პ-ო-ლ-ი-ტ-ი-კ-უ-რ- ა-ზ-რ-ო-ნ-ე-ბ-ი-с-? ა-ნ-დ-ა, შ-ე-ი-ლ-ე-ბ-ა, ე-ს ე-წ-
 «ა-ქ-ტ-ი-უ-რ-ი თ-ა-ნ-ა-ა-რ-ე-ბ-ო-ბ-ა» ნ-ი-შ-ნ-ა-ვ-დ-ე-ს მ-ე-ტ რ-ა-მ-ე-ს დ-ა ი-მ-ე-დ-ს-ა-ც-
 ი-ძ-ლ-ე-ვ-ო-დ-ე-ს რ-კ-ი-ნ-ი-ს ფ-ა-რ-დ-ი-ს ღ-ო-ნ-ა- მ-ა-ი-ნ-ც ა-წ-ე-ვ-ი-ტ... (მ-ი-ს მ-
 მ-ა-ს-პ-ე-ბ-ა- დ-ა გ-ა-ქ-რ-ო-ბ-ა, რ-ო-გ-ო-რ-ც ს-ხ-ა-ნ-ს, უ-ა-ხ-რ-ო ღ-ი-ნ-ე-ბ-ა-ტ ჩ-ი-ი-
 ვ-ლ-ე-ბ-ო-დ-ა). ა-მ კ-ო-ნ-ც-ე-პ-ც-ი-с ა-ვ-ტ-ო-რ-ე-ბ-ი-с ა-ზ-რ-ი-т, ჩ-ე-ნ შ-ე-ვ-დ-ი-
 ვ-ა-რ-ტ თ-ი-თ-ქ-ო-ს თ-ა-ვ-ი-ს-უ-ფ-ა-ლ-, ფ-ა-რ-ტ დ-ა დ-ი-დ-ი მ-ა-შ-ტ-ა-ბ-ი-т წ-ა-რ-
 მ-ო-ე-ბ-უ-ლ- გ-ა-ც-ვ-ლ-ა-გ-ა-მ-ო-ც-ვ-ლ-ი-с ხ-ა-ნ-ა-შ-ი, რ-ა-ც უ-დ-რ-ი-с კ-უ-ლ-ტ-უ-
 რ-უ-ლ-—ე-კ-ო-ნ-მ-ი-უ-რ- მ-ე-თ-ო-დ-ი-უ-რ-ა-ტ წ-ა-რ-მ-ო-ე-ბ-უ-ლ- დ-ი-ფ-უ-ჩ-ი-ა-ს ე-
 ი-ი. ა-რ-ს-ე-ბ-ი-თ-ა- რ-კ-ი-ნ-ი-ს ფ-ა-რ-დ-ი-ს გ-ა-რ-ლ-ვ-ე-ვ-ა-ს. დ-ა, ხ-ო-მ ა-დ-ვ-ი-ლ-ი
 წ-ა-რ-მ-ო-ს-ა-დ-გ-ე-ნ-ი-ა, რ-ო-მ ი-მ მ-ხ-ა-რ-ე-ნ-ე ა-მ-ა-ნ გ-ა-მ-ო-ი-წ-ე-ი-ო-ს თ-ა-ვ-ი-ს-ე-
 ბ-უ-რ-ი ს-ო-ც-ი-ა-ლ-—პ-ლ-ი-ტ-ი-კ-უ-რ-ი დ-უ-ლ-ი-ლ-ი, ა-ღ-ს-ა-ვ-ს-ე ა-რ-ა ს-ა-ს-ი-ა-
 მ-ე-ნ-ი ს-ი-უ-რ-პ-ლ-ი-к-н-ე-ბ-ი-т რ-ე-ე-მ-ი-с-ა-თ-ვ-ი-ს.

ი-ქ-ნ-ე-ბ-ო-დ-ა დ-ი-დ-ი გ-უ-ლ-უ-ბ-რ-ყ-ვ-ი-ლ-ო-ბ-ა გ-ვ-ე-ფ-ი-ქ-რ-ა, რ-ო-მ ა-ს-ე-
 თ-ი ე-ქ-ს-პ-ე-რ-ი-მ-ე-ნ-ტ-ი შ-ე-ი-ლ-ე-ბ-ა შ-ე-დ-ი-ო-დ-ე-ს კ-რ-ე-მ-ლ-ი-с ბ-ა-ტ-ო-ნ-ე-ბ-ი-с
 გ-ე-გ-მ-ა-შ-ი, რ-ო-მ-ლ-ე-ბ-ი-ც დ-ა-ვ-ა-დ-ე-ბ-უ-ლ-ნ-ი ა-რ-ი-ა-ნ უ-კ-უ-რ-ნ-ე-ბ-ე-ლ-ი კ-ო-მ-
 პ-ლ-ე-ქ-ს d' infériorité-ი-ტ დ-ა-ს-ა-ვ-ლ-ე-თ-ი-ს მ-ი-მ-ა-რ-ტ.

მ-ა-რ-თ-ა-ლ-ი გ-ი-თ-ხ-ა-ტ, დ-ი-დ-ი ხ-ა-ნ-ი ა-რ-ა-ა, რ-ა-ც «მ-ა-თ» მ-ა-თ-ვ-ი-ს
 ჩ-ე-ვ-ლ-ი ც-ი-ნ-კ-უ-რ-ი ა-ხ-დ-ი-ლ-ო-ბ-ი-т ა-ლ-ი-ა-რ-ე-ს, უ-კ-ე-თ, ე-რ-თ-ხ-ე-ლ- კ-ი-
 დ-ე-ვ შ-ე-დ-მ-ე-ტ-ა-ტ გ-ა-მ-ე-ო-რ-ე-ს დ-ა მ-ო-გ-ო-ნ-ე-ს (ხ-რ-უ-შ-ჩ-ე-ვ-ი-ს პ-ი-რ-ი-т)
 მ-ს-ო-ფ-ლ-ი-ო-ს, რ-ო-მ დ-ა-ს-ა-ვ-ლ-ე-თ-ი-ს ც-ი-ვ-ი-ლ-ი-ზ-ა-ც-ი-ი-ს დ-ა დ-ე-მ-ო-კ-რ-ა-
 ტ-ი-ი-ს ა-ლ-ი-ს-რ-უ-ლ-ი მ-ო-ს-ლ-ო-ვ-ე-ბ-უ-ლ-ი-ა-ო. ი-დ-ე-ა მ-შ-ვ-ი-ტ-ო-ბ-ი-ა-ნ-ი

տանաարևելուսա մատո ցացը ծութ, ագուլատ տացեցք ճա (ճա ցշ-
 լուսեմոծ կուցքաւ) մյեշտո քալունի օնս լուրջութիւն ցամու-
 յրեցաստան, հռմելու մշցութուննուն է զամանենիմենուտ կո-
 ւոց պարու մյերու նբուժութ դա մենցութիւննուտ նալիքան
 «միշտ դանեմարցիան» միշտութուննուն «տանաամարտեցք» პարենո-
 ւրցուն ացություննու...»

«միշտութուննուն տանաարևելուսա» օդյուս քասաեմարյելուտ
 (մուսու հայալունացուն սիրուխցըլսապոյատ) նամուսպեց օդյուս
 «եղուրալունիմու»-ս ճա եղուրալունացուն... քասիցուննու, օն
 ցշլուսեմոծ սամշալու ճա ալմուսացլուտ ցշիրուր կուրժուննու
 ցալուցիւն ան գունդունութուն ագուրանուրուցամքու եղուրալուր կուրժուննու
 ցալուցիւն սիանս. սինդա մունքոյի մենցութ դա մենցութ տացեցւուցա-
 լու եցիթուրուն նարչինց. ովայքի ճա օնկալումաւրուրու «ռաբանիցա»:
 այս թիրու, ուշալսլաւու, ցոննուն անգու, ճա ծոլուս—ցշիրմանու.
 პարունուն Մյետանեմեցութան ցամունդա անիրունու տշ մուհցեցիւն,
 մացրամ, մոհցեցիւն, ամ Մյեմտեցցուան գուրուա հրալ լորու: տացու-
 սցուալու, սացարունուր ցշիրմանու, հռմունու նցուրալունացու-
 ուն սաձուցլուր մյեունուր կուցքաւ ունցեցուն ճաամտացրուն
 պարունուն մամշութուն»: Մյեսածուցելուա օմանչեցաւ ովուրունց,
 հռմ ամուն Մյեմլուց Ծափնարյեցու օնկալունն პորու անուսացք.
 Ըստութ եռմ առ ամուն հանցիրունու «սամլուտու նանցիրութիւն»—
 (լուսնուն) «պահա პարունուսացք (ոցշլուսեմեցիւն—կոմունուն միշտութիւնը) ցացը լուս կունցից».

հռկարու սիանս, ցացը լուս առ սինդա ույս հոցին մատ
 Շորունուն ճա մատ նոնայուր ուրունքինց. «յուլեննիւր» ցանցիրնաս,
 հռմելու գրամմանցութիւն մյերա ճա սանցութ մուգումարյու-
 նուն յմնուն, ցանցունքիւն առ ցացը լուս. յունումուրու ուրունքիւնուն
 ցարլցու ամ մերու, հռմելու օնդու նանու ճանիպու, դրուտ
 միշտութուն մյեունուր ցամունդա ցա մտյուլու սասուցլու
 մյունքուն սանցութ նոնայուր մուցանուն.

մյուր մերու, ամաս յմարյեցի հրյումուսացուն սամունի ճա
 մլուրու նացագու նացունալուր անցուրացունուս. հռմելու ու
 գրամմանցութիւն պարունքուն նեցա პորնի ցամունդուն եռու-
 մյ. ամ პերմանցենքու պարունքուն նացունալուր ցա մատաց-
 րեցի կրյուլու մյունք մունցուն նահցու հրյումուր ուպասացքիւն:
 նիշանի ընթեու զուտարցուն նշուուցագու, շեքատ ուցեցիւն
 տցելու մշալուսա ճա սումելուունուս յուրա մերուն, յմնուն ճա
 անցուարյունի պայուրուս (միշտութ միուն) հայուն. ցրտո
 սուրպուտ—ոյմեցի ճուգու ացատմուուր արմուսուցըրա. ճա սացու-
 տեցու—հռկար ցրմունքուն տաց սանցութ պասարնուցուն» պա-
 լա ամ պարմանցունը կանազմամու սրբալունուն մյեմկութունը?

յունքուն «մոմենմալուցը» օնմուննու ճա նցրցուլուտ մոմար-
 տու գուլումարուն մյեմուրուցանց մշցութուննուն տանաարևելո-
 ւնուն մուն պահա գրմունքուն տաց սանցութ պասարնուցուն
 նուացուսա գրուցուն բարուսա ճա յուլունուն մոյցիւնուն.



სტალინის დიქტატურის აპარატი ეყრდნობოდა სამ ერთხელი მოძახვის—პარტია, პოლიცია და არმია. კოლეგიალური სამეული, რომელიც დამკვიდრა ტირანის სიკვდილის შემდეგ, აღმოჩნდა უდლეური. ბერიას გაქრაბით—გაქრა ტრიუმვირატიც. ავანსცენაზე დარჩა—პარტია და არმია. ერთი მხრით—ხრუშენვი, მეორე მხრით—უჟკოვა-ბულგანინი (შეიძლება კი დიდხანს დარჩეს «მეთვალყურის» როლში ამ უამად მიყუჩებული ეჟკოვი?). ჯერ კი თაფლის თვე «თანაარსებობისა» საბჭოთა ოლიმპშე, როგორც სჩანს, გრძელდება. დიდი წინით ვთოვმ?

სხვათა შორის, ჯერ რაღაც არ მოსჩანს პორიზონტზე სათანადო ხერხემლით პიროვნება, რომელიც აშკარათ ამჟღვნებდეს ნებისყოფას დიქტატურის კიბეზე ასვლისას. არმია თავის ცენტრალისტური აპარატით, შეკრული რეინის დის-ციპლინით, შესაძლებელია შესაფერ მომენტში მართლაც და გაპყვეს თავის გენერალისიმუსს. ასეთ შემთხვევაში საშიშროება დიდი ავანტიურის, რომელიც გზას გაუხსნის რუსულ სამხედრო დიქტატურას—არაა გამორიცხული.

რა პერსპექტივა ესახება საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ ერებს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვით თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა ერთგვარ პისქოლოგიურ ცვალებადობით და მრავალგვარი «განხრათა» სენით არის თითქოს დაავადებული და რაც, როგორც სჩანს, შეეფერება ეპოქის სულიერ განწყობილებას?

ისტორიული პროცესი, მთელი რიგი პირობების ზეგავლენით, მიჰყვება რა უმცირეს წინააღმდეგობის ხაზს. უნდა მიიმართოს ერთი «საგნობრივი» გაკვეთილიდან მეორესაკენ, რადგან, არც ერთ იმათგანს არ შეუძლია პერიოდურ ცვალებადობით და მრავალგვარი «განხრათა» სენით არის თითქოს დაავადებული და რაც, როგორც სჩანს, შეეფერება ეპოქის აღმის აბსოლუტური ლირებულება. ძვირად, ძალიან ძვირად, დაუჯდება კაცობრიობას, როგორც სჩანს, ეს უკანასკნელი გაკვეთილი თანამიმდინარე მომენტში. ვიქონიოთ მაინც იმედი, რომ ეს მუდმივი ტებილი ილიუზიების ეპოქაც დაძლეული იქნება ისე, რომ დიდ ზიანს არ მიაყენებს კაცობრიობას და რაც შეიძლება დაჩქარებით დათავდება: ამზე აღბათ იშაცადინებენ ისტორიის დემიურები «იმა ქვეყნიდან».

ამ რიგად, ისევ ვაძლევთ თავს კითხვას—რა უნდა ვქნათ ჩვენ? მიმოვინედოთ ერთხელ კიდევ ირგვლივ, საერთაშორისო სცენისაკენ. კონფერენციები კონფერენციებს სცელიან: დღეს—სახელმწიფოთა მეთაური, ხვალ—საგარეო საქმეთა მინისტრები. დღის წესრიგში ერთიანი კონფერენციები და მუდამ ახალი პრობლემები. ამ პრობლემებს გადამწყვეტი პოლიტიკური მათემათიკოს—სასწაულთმომქმედი პორიზონტზე არა სჩანს. რაშია საქმე? ვგრძეობთ (ინტუიციამ ყველას უნდა უკარნახოს ეს), რომ ყველა ისინი (ეს პრობლემები) თავს იყრინა ერთ ძირითადში, უკეთ რომ ესთქვათ, მისგან გამომ-

დინარეობდენ, რომელსაც საერთაშორისო შეხვედრებისას არც კი ასახელებდნ (ეს ითვლება აღმა, «ცუდ ტონათ»).

აილეთ რომელიც გნებავთ ამ ძირითად პრობლემიდან: განიარაღდა, გაერთიანება გერმანიის, «სატელიტები», პრობლემა საბჭოთა იმპერიის დაჩაგრული ერებისა საერთოდ და სხვ. და სხვ. გან, ნათელი არ არის ყველასთვის, რომ ისინი წარმოშობილია ერთი ძირიდან, სადაც თავს იყრიან ყველა სხვა პრობლემებიც. ერთნი ფიქრობდნ, რომ მშვიდობიანობას მსოფლიოში დაამყარებს გერმანიის უნიფიკაცია, მეორეთ გულუბრყვილოთ სწამთ, რომ სატელიტების ქვეყნებში თავისუფალი არჩევნები დააზარებს ევროპას. ეს მონოლოგები «საქუთარი კუთხიდან» აშკარათ მოწმობს გარკვეულ უმწეობას, ან, უკეთ, შეგნებულათ თვალის დახუჭვას, რაც ასე ახასიათებს ჩვენს ეპოქას.

ამ რიგად, მსოფლიოს ამძიმებს ერთად-ერთი პრობლემა—პრობლემა კრემლის კომუნისტური დიქტატურისა. ნუ თუ არ არის ცხადი ჩვენთვის, რომ მოსკობა და შემუშავრა ამ ტოტალიტარული რეჟიმის, რომლის ბრძყალებით მთელი მსოფლიო დასერილია—გზას გაუხსნის «საბჭოთა ადამიანის» განთავისუფლებას და საბჭოთა იმპერიის ერთა სრულ ემანსიპაციას (ისტორიულ ნებებიდან არ შეუძლია დაზოგოს მსოფლიოს ეს საშინელი იმპერიალისტური ფორმაცია).

გვეკითხებით: ნუ თუ ახლაც არაა ჩვენთვის ნათელი, რომ ჩვენ ვიმყოფებით საერთო განმათავისულებულ ბრძოლის ეტაპზე, რომლის ფერხულში უნდა ჩადგეს შეძლებისადაგვარად საბჭოთა ყველა ერები. თვით რუსის ერის ჩათვლით და ისინიც, ვინც გაერთიანებული არიან «ა. ნ. ც. ე.»-ში (სატელიტები).

უაღლოესი და უდიდესი, ჭრილობული ტიტანიური, ამოცანა ჩვენი დროის, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ფარავს ყველა სხვა დანარჩენს, და რომელიც არის უშუალო და უახლოესი მიზანი ჩვენი გაერთიანებისა, ხმა შეწყობილია მთელი თავისუფალი კაცობრიობის იდუმალ მისწრაფებებთან. რუსის ხალხის ინტერესები, სწორად გავებული და შესაფერათ ათვისებული რუსის დემოკრატების მიერ (რითაც ისინი აღმოჩნდებიან ეპოქის მოთხოვნილების სიმაღლეზე)—უნდა უკარნახებდეს უკანასკნელთ გულწრფელათ და გადაჭრით ჩაებან საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ასეთ პირობებში —აქედან გამოწვდილი ხელი, არ შეიძლება დარჩეს პაერში გამოყიდებული.

ნაციონალური ინტერესები, პოლიტიკური სტრატეგია და ანგარიში ამას გვიკარნახებს ჩვენ. აღმოჩნდებიან სკეპტიკოსებიც. ასეთები ბლომათაა. შეიძლება ისიც გავიგონოთ ამ მხრიდან: «იმედით ბავშებს კვებავენ». ამათ ჩვენ უპასუხებთ სიპრომატიური ფაქტების აღნიშვნით: ა) ვორკუტა-კარაგანდა: მასიური აჯანყება ხალხის შვილებისა, რომელიც დაი-

ხოცენ გმირულათ ადამიანობისა და თავისუფლებისათვის.
 ბ) სიპტომები (მართალია ჯერ კიდევ ემბრიონალურ მდგო-
 მარებაში) «საზოგადოებრივი აზრის» ჩასახვისა და მანიფეს-
 ტაციების ტექნიკური ფენებში და საბჭოთა მეურნეობის
 ხელმძღვანელებში. გ) გამოძახილი ამ მხრიდან: ჟეზმარიტად,
 რევოლუციური მოწოდება ალექსანდრა ტოლსტოის — დიდი
 მწერლის ქალიშვილისა, რომლის მამა «ბოროტების წინააღ-
 მდეგობის არ გაწევას» რომ ქადაგებდა — მოუწოდებს გადამ-
 ჭრელი ბრძოლისაკენ, მსოფლიოს ამ უსაშინელესი ბორო-
 ტების წინააღმდეგ... დაკმაყოფილდეთ ამითი და გაცვევეთ
 ქვევით.

ჩვენ ლრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი კოალი-
 ციისათვის — განმათავისუფლებელ ბრძოლის ამ «შტაბი»-სა-
 თვის — თავისუფალ მსოფლიოს თანაგრძნობა და დახმარება
 მაქსიმალურათ უზრუნველყოფილია. ამას უკარნახებს მათ
 სასიცოცხლო ინტერესები. იზოლიაციის გონიერია,
 («მაია ხატა ს კრაიუ»), რომლის გაყორება ასე აშკარაა და
 კიდევაც შეგნებულია თავისუფალ კაცობრიობის მიერ, მინ-
 და ვირწმუნო, ეკუთვნის წარსულს. ის აღმოჩნდა პირდაპირ
 წინააღმდეგობაში და შეუთავსებელი მსოფლიოს საერთო ბე-
 დის იდეასთან.

ისმება საკითხი — რაში უნდა მდგომარეობდეს დღევან-
 დელ პირობებში პოლიტიკური ემიგრაციის როლი?

მან უნდა შექმნას მძლავრი საერთაშორისო ფორუმი,
 სადაც თავს მოიყრიან საბჭოთა იმპერიის ტყვეობაში მყოფ
 ერთა ემიგრაციის კვალიფიციური წარმომადგენელნი (დაჩა-
 გრულნი ნაციონალურათ და სოციალურათ) და აქედან მეთო-
 დიურათ და განუწყვეტლივ უნდა გაისმოდეს მოწოდება თა-
 ვისუფალი ქვეყნების სინიდისისადმი, რათა მათი ყურადღება
 მიპყრობილ იქნას საბჭოთა იმპერიის ერებისადმი და მათ კა-
 ნონიერ ასპირაციებისადმი.

ესევე გაერთიანება, მეორე მხრით, უნდა გახდეს ცენტრი,
 ერთგვარი ბრძოლის საყვირის, თუ გნებავთ, რომელიც წარ-
 მართავს ცოცხალ და სამართლიან ტალღებს, ყველა მისალებ
 და ხელჩასაკიდ საშუალებებით ფარდის იქითა მხარეს და გა-
 ამხნევებს საბჭოთა რეების ქვეშ მგმინავ ხალხებს.

ასე შექმნილ აპარატის პოლიტიკური საქმიანობის ბაზა
 უნდა გაფართოვდეს პერიოდული კონტაქტების ფორმებში,
 უფრო სწორათ, კოორდინაციით რუსი დემოკრატების (რო-
 მელთაც აქვთ შეცნობილი ეპოქის მოთხოვნილება) მონაწი-
 ლეობით, როგორც ეს იყო თქმული ზევით. გაფართოვება უნ-
 და წავიდეს კიდევ უფრო შორს — დასავლეთით. საშვალო და
 აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ, რომლებიც წარმოდგე-
 ნილი არიან «ა. ს. ე.»-ში, ვინაიდან, ვფიქრობთ ჩვენ, ხელო-
 ვნური ბარიერი, აღმართული მათსა და საბჭოთა ხალხების
 შორის დღეს აღარ უნდა არსებოდდეს. პოლიტიკურმა და

სტრატეგიულმა ლოდიკამ უნდა უკარნახოს მათ აუცილებლობა განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტში მონაწილეობისა.

ამ რიგად, ჩვენი გაერთიანება, რომელსაც, მე ვიტორობ, მყარე საფუძველი დლეს ეყრდნა, ბუნებრივ თანამებრძაურთა ძიებაში ბრძოლის დღვევანდველ ვტაპსე, მიმართავს თავის ყურადღებას თვალშრევდენელ საბჭოთა იმპერიის დასავლეთით და ჩრდილოეთ მტკიცე შეგნებით და რწმენით—შექმნას, შეძლებისადაგვრათ, ძლიერი ფინანსონგიური მუშტი.

შევაჯამებთ რა ზემოთ თქმულს—ჩვენ შეგვიძლია აღნიშნოთ კონკრეტულათ ჩვენი გაერთიანების პირდაპირი მიზნები:

1) ბრძოლა კომუნისტური იმპერიალისმის და დიქტატორიალური რეჟიმის წინააღმდეგ—«საბჭოთა ადამიანის» და ხალხების გასანთავისუფლებლათ საბჭოთა რეჟიმის დიქტატურისაგან.

2) შეთანხმებული მუშაობა, მიმართული ერთა ბუნებრივ უფლებათა რეალიზაციისაკენ თვით განაგონ თავისი ბეჭდი საერთოდ, და ალსადგენათ სახელმწიფო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა იმ ერებისათვის, რომლებიც გახდენ მსხვერპლი სახელმრო რკინიაციისა.

3) მუშაობა ანტიკომუნისტურ ფრონტზე ჩვენი ერების კანონიერი უფლების საცნობლად.

ბრძოლის საშალებები.

ა) გაერთიანება და გაძლიერება ნაციონალურ და დემოკრატიულ ორგანიზაციებისა ლტოლვილებაში.

ბ) მუშაობა ფარდის იქითა მხარეს.

გ) მშიდრო თანამშრომლობა ამერიკულ კომიტეტთან.

მე ვთვლი თავის მოვალეობათ შევჩერდე ჩვენი აქციის ამ მნიშვნელოვან სექტორზე. ღრმა მლელვარება გამოიწვია ჩვენში ჩვენი საერთო წამოწყების ბეჭდა, რომელსაც საფუძველი ჩაიყარა ამერ. კომიტეტმა—ამ სწორმა გამოხატულებამ, ვიტორობ მე, ამერიკული საზოგადოებრივობისა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი იმედები მიმართულია თავისუფალი ქვეყნებისაგან, რომელსაც შეთაურობს ოკეანეს იქითა მყოფი დიდი დემოკრატია, რომლის დროშანე ამოქანულია ლოზუნგი თავისუფლებისა და დამორჩილებულ ერთა განთავისუფლებისა—ადგილი გასავები იქნება ჩვენი შემფოთება, ჯერ კიდევ არა საკმარისად გამომუდავნებულ ტენდენციის გამო, რომელმაც თავი იჩინა ამერ. კომიტეტის სულიერ განწყობილებაში ბოლო დროს და რომელსაც ლოდიკურათ შეუძლია მიგვიყვანოს დიდი წამოწყების ლიკვიდაციამდე. საბეჭნიეროთ, ჩვენი შიში თითქოს ნაჩერევი აღმოჩნდა და, მინდა ვიტორობ, რომ ის უარყოფილი იქნა ამერ. კომიტეტის თავმჯდომარე სარეანტის უკანასკნელი გაბედუ-

ლი გამოსცლით. თქვენ, რასაკვირველია, მიმხდარი ხართ თუ რაზეა ლაპარაკი. დაიწყო პრიმიტიული, ტლანქი შიშიდვა ემიგრამნების სულების: «სამშობლომ გაპატივა», «სამშობლო ეძახის გზა აპნეულ შეილებს», «დარდი სამშობლოზე გათავდა», და სხ. ლაპარაკის საშვალებას წართმეულ ხალხების Porte-Parole-ი მრავალ-ერიანი პოლიტიკური ემიგრაცია, ეტყობა «ეირაცას» მოსვენებას არ აძლევს. სტუმართ მოყვარეობით და საიმედო თავშესაფარით ჩვენ ესარგებლობთ როგორც ერმანიაში, ისე ყველა თავისუფალ ქვეყნებში. ერდგული თავის კეთილშობილი ტრადიციებისა დემოკრატიული გერმანია ღრმული დალათ გადაცემას არ დაუშვებს. პირიქით, ჩვენი ლრმა რწმენით, ის გახდება სინამდვილეში ძლიერი საერთაშორისო ფაქტორი იმ მსოფლიო პრობლემის გადასაწყვეტათ, რომელიც გაგვისწინის ჩვენ თავისუფალ გზას გათავისუფლებულ მშობლიურ ერებთან.

ხელები შორს—გაისმა ერთდაიმავა დროს ოკეანეს გალმა აკტორიტეტული ხმა კაცობრიობის სინილისისა. ეს იყო მეტად მნიშვნელობის აქტი ამერ. კომიტეტის თავმჯდომარისა და ჩვენ სულითა და გულით ვესალმებით მას. ის ვილვიძებს ისევ იმედს, რომ ჩვენი გაერთიანებისათვის, რომელსაც, როგორც ზევითა გსტევი, დაეს აქ სალი საფუძველი ეყრდნა—ხელახლა ისახება პერსპექტივა შევიდეთ ამერ. კომიტეტითან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაში.

დაბოლოს, მინდა მოგაგონოთ ზოგიერთი, ახლა უკვე ისტორიული, საწეომო დეკლარაციები და ვალდებულებანი, რომელზედაც არის მოსკოვის ხელის მოწერაც. მე სახეში მაქვა ერთი მხრით «ატლანტიური პარტია», მეორეს მხრით—გაერთიანებული ერების (ონიუ) კონსტიტუცია. პირველით (მესამე მუხლი) დიდმა სახელმწიფოებმა ვალდებულებათ აიღეს პატივი სცენ ხალხთა უფლებას, რომ მათ თავისუფლათ აირჩიონ ფორმა თავის მთავრობისათვის, რომლის მეთაურობით მათ სურთ იცხოვრონ. ერთა უფლების ასეთსავე პატივის ცემაზე ლაპარაკობს ონიუს კონსტიტუციის პირველი მუხლი.

რა ბედნიერება იქნებოდა, რომ არსებობდეს ქვეყნათ ძალა, რომელიც უზრუნველჰყოფს ალნიშნულ ვალდებულებათა განალდებას!

რის იმდედი უნდა გვქონდეს ჩვენ? არ ვივიწყებთ რა რომ ჩვენი თაობა მიადგა გზა-ჯვარედინს, რომელიც პყოფს ორ ისტორიულ ეპოქას და რომელიც ნათლათ გვიჩვენებს გზას და მიმართებას მსოფლიოს ეკონომიური მთლიანობისაკენ—ჩვენ, დარწმუნებული ვართ, რომ ამას უნდა უსწრებდეს დაშლა დიდ ისტორიული ფარმაციებისა და ერთა სრული ემანსიპაცია. მხოლოდ თავისუფალ, სუვერენულ ერს შეუძლია გახდეს საიმედო ბაზა დიადი მსოფლიო შენობის ასაგებათ და მასში ახალი და სამართლიანი წყობილება შექმნას. ჩვენი

რეალური და საყრდენია, მაშასადამე, პირველ ყოვლისა, ისტორია და მისი კანონები. ბევრს ლაპარაკობენ ამ ბოლო დროს დიქტატორიალური რეემის ევოლუციაზე: «კეთილშობილდებიან», ლამაზათ «იგარცხნებიან» თუ აგრძელებენ თავიდან ალებულ სისხლის და ძალმომჩეობის გზას—ორივე შემთხვევაში ისტორიული პროცესით მას გამზადებული აქვს ერთი და იგივე დასასრული... ისტორიამ არ იცის, მგონია, დიქტატურის ევოლუციის შემთხვევა. მაგრამ შეიძლება, ისინი შესძლებინ ისტორიის მოტიუებას, რომ ჩასწერონ მასში ახალი გვერდი ახალი კანონებით!»

საბოლაოთ ნათელია, რომ ჩვენი ერების განთავისუფლება—ეს უნდა იყოს თვით ერების საქმე. მაგრამ, გარდა ჩვენი ერების ამ თვითმმედების ფაქტორისა, შეუდრეველი სულისა და ნებისუფისა თვითსულებისადმი—არსებობს (როგორც არა ერთხელ ვსთქვი ამის შესახებ ზევით) ფაქტორი განსაკუთრებული (თუ გადამწყვეტი არა) მნიშვნელობის თვითსუფალი კაცობრიობა, სადაც წამყვანი როლი ეკუთვნის ამერიკის დიდ დემოკრატიას. ჩვენ მტკიცე იმედი გვაქვს და გვაჯერა, რომ ამ მხრიდან ჩვენი იმედები არ შეიძლება გაცრუვდეს.

ამ რიგად, არ შეიძლება იყოს მშეიდობიანობა კაცობრიობაში და ვერც იხილავს თვითსუფლებას საბჭოთა ხელისუფლებით და ახაგრული ერები, თუ არ დაეცა ტოტალიტარული კომუნისტური დიქტატურა.

მოსკოვის კომუნისტური ტირანია უნდა დაინგრეს.

დევალევენ ჩვენი ერები თვითსუფალი და სუვერენული.

რეზოლუცია ნ. პ. ცინგაძის მიმსენების გაშვ.

მოვისმინეთ რა ნ. კ. ცინგაძის მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკური მდგრადიობის შესახებ, კონფერენცია ადგენს:

მშეიდობიანობის წყურევილმა შეიძყრო კაცობრიობა, რასაც, მისთვის ჩვეული მზაკვრობით, ექსპლუატაციას უწევს კომუნისტური დიქტატურა, რათა შეინარჩუნოს ძალმომრეობით დაპყრობილი პოზიციები მსოფლიოში და მორიგი შესვენება გამოიყენოს მაქსიმალურათ «დაეწიოს და გაასწოროს» დასავლეთის ქვეყნებს, განსაკუთრებით, სამხედრო-ატომიურ ტექნიკის სფეროში, რომ შემდეგ ჩამოიხადოს პირბადე და სამკუდრო-სასიცოცხლოთ შეებას თავისუფალ ქვეყნებს.

ე. წ. «მშეიდობიანი თანარსებობის» იდეამ, გაძლიერებულმა ნეიტრალური კორდონის შექმნის იდეით თვითსუფალ ქვეყნების ხარჯზე, პირველ ყოვლისა, შუალმოსავლეთ ევროპაში უნდა გააძლიეროს ზევით ალნიშნული მიზანი.

მსოფლიოს მშეიდობიანი პოლიტიკური, რომლებიც მუდამ სდგას საერთაშორისო კონფერენციების დღის წესრი-

გში—წარმოშობილი არიან და თავს იყრიან ერთ ძირითად პრობლემაში—ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის დამხმარებაში, რომლის ლიკვიდაცია გაგლეჯს და მოსპობს რკინის ფარდას და ამავე დროს გზას გაუხსნის «საბჭოთა ადამიანის» და საბჭოთა კავშირის მიერ დაჩაგრულ ერების განთავისუფლებას.

ამ რიგად, ვიყოფებით რა განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო ეტაპზე—კონფერენციას საჭიროდ მიაჩინა მიიღოს ყოველგვარი ზომები საბჭოთა რეჟიმის მიერ დაჩაგრულ ყველა ერების ბრძოლის გასაერთოანებლათ.

მხოლოდ ერთა შორის დემოკრატიის ასეთ მობილიზაციას, თავისუფალი კაცობრიობის ყოველმხრივი დახმარებით, შეუძლია იხსნას, როგორც თვით ცივილიზაცია, ისე უზრუნველყოს დაჩაგრულ ერთა მისწრაფებების და ასპირაციების გამარჯვება.

მ ი მ ა რ თ ვ ა

«საბჭოთა კავშირის ერების განმათავისუფლებელი ლიგა»-სი რესის დემოკრატიული ხასხვადოებრივისადმი.

«საბჭოთა კავშირის ერების განმათავისუფლებელმა ლიგა»—მდასრულა რა ერთსულოვნათ თავის კონგრესის მუშაობა,— მიმართავს მოწოდებით რუსის მთელ დემოკრატიულ საზოგადოებრიობას, მიიღოს მონაწილეობა მათთან ერთად საბჭოთა ერების განსათავისუფლებლათ კომუნისტური დესპოტიის ბრძყალებიდან. რუსის ხალხის ერთმა საუკეთესო შვილთაგანმა—გერუცენმა, თავის დროზე გადმოისროლა თავის კეთილშობილ ლოზუნგი: «ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის». დაწმუნებული ვართ, რომ დღესაც რუსი ემიგრაციის რიგებში არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც შესძლებენ გაერთიანებას ჩვენთან ამ გადამწყვეტ ბრძოლაში «ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის». გამოვლინართ რა დემოკრატიული პრინციპიდან, რომელიც სცნობს ყველა ერზე უფლებას თვით განაგოს თავის ბედი, ღრმა პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ ერების წინაშე, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ერთ მებრძოლ შეიძრო და მტკიცე ფრონტში, ჩვენ ერთა გათელილ სამღერთო უფლების აღსადგენათ. სწორათ გაგებული რუსის ერის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს მისი წარმომადგენლებისაგან აღმოჩნდენ ისტორიული მომენტის მოთხოვნილების სიმაღლეზე და არ ჩასთვალონ თავის მტრათ ცალკე ერების წარმომადგენელნი, რომლებიც იბრძვიან თავის ნაციონალური თავისუფლებისათვის და დემოკრატიული სახელმწიფო დროისათვის. მთელი დემოკრატიული საზოგადოებრიობის წინაშე ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ჩვენ არც რუსის ხალხის მტრები ვართ და არც მისი კანონიერი ინტერესების. ჩვენ ვიბრძვით კომუნისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც სისხლით და რკინით მოსპონ ჩვენი

თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ ვიბრძეთ ყველა სახის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ამ პასუხის საგებ ისტორიულ მომენტში რუსის დემოკრატია იხელმძღვანელებს ერთა ჭეშმარიტ მართველობის საღი გა- გებით. გაერთიანებული ბრძოლით, დარწმუნებული ვართ, შევსძლებთ ჩვენი ერგიის განთავისუფლებას.

დრო არ ითმენს...

ს ტ ა ტ ე ტ ი

«ხაბჭეთა გავმირის გრების განმათავისუფლებლი ლიგა»-სი.
(პარიზის ბლ აკი)

1. შ ი ზ ა ნ ი.

ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრები სომხეთისა, აზერ- ბაიჯანისა, ბელორუსისისა, საქართველოისა, იდელ-ურალისა, ჩრდილო-კავკასიისა, თურქესტანისა და უკრაინისა გაერთი- ანდენ რა—დაარსეს «საბჭოთა კავშირის განმათავისუფლებე- ლი ლიგა» და ამ ლიგის მოღვაწეობის სახელმძღვანელოთ მი- იღეს შემდეგი დებულებანი:

1) «საბჭოთა კავშირის ერების განმათავისუფლებელი ლიგა» მიწნათ ისახავს თავის ერების ბრძოლის კოორდინა- ციას, მიმართულს კრემლის კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ, განსარციიელებას ნაციონალური მისწოდებე- ბისა და აღდგენას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც გახდენ მსხვერპლი საბჭოთა ჯარების ოკუპაციისა.

2) ლიგის წევრები ათანამებენ თავიანთ მოქმედებას პი- რველ მუხლში აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

3) ლიგის წევრები ვალიდ იდგენენ: а) მიაწოდონ ერთმა- ნეთს ცნობები თავის მუშაობის შესხებ ყველა იმ საკითხებ- ზე, რომელიც საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება საერ- თო მიზნისთვის. б) არ შევითნენ ისეთ კავშირში და შეთანა- ხმებაში, რომელიც ეწინააღმდეგება ლიგის ინტერესებს, ან- და, მასში მონაწილე კალკე ერის ინტერესებს.

2. ლიგის სტრუქტურა.

4) ლიგის წევრად შეიძლება იყოს ნაციონალურ-პოლი- ტიკური ცენტრები, რომლებიც იზარებენ ლიგის მიზნებს. თვითეული ერი იქნება წარმოდგენილი მხოლოდ ერთი დე- ლეგაციით.

5) ახალი წევრების მიღება და გარიცხვა ხდება შეთან- ხმებით.

3. ლიგის დრგანდები.

6) ლიგის ორგანოთ ითვლება: а) კონფერენციები და ბ) კომიტეტი.

7) კონფერენცია, როგორც ლიგის უმაღლესი ორგანო, შესდგება ნაციონალური ცენტრების დელეგატებისაგან და იკრიბება წელიწადში ერთხელ, ანდა საჭიროების მიხედვით.

თანახმად კომიტეტის დადგენილებისა. კომიტეტი მოვალეა აგრეთვე მოიწვიოს კონფერენცია თუ მას მოითხოვს ლიგის წევრთა ერთი მესამედი.

8) ლიგის აღმასრულებელი ორგანოა—კომიტეტი, რომელიც ატარებს ცხოვრებაში კონფერენციის დადგენილებებს.

9) კომიტეტი შესდგება მონაწილე ცენტრების თითო წარმომადგენელთაგან. თავმჯდომარეობა ხდება მორიგეობით.

10) კომიტეტი თავის ორგანიზაციის და მოღვაწეობის ფორმას იმუშავებს და ახორციელებს თანახმად თავის მიერ მიღებული რეგლამენტისა.

11) კომიტეტის მუდმივ მომუშავე ორგანოთ ითვლება მისი პრეზიდიუმი, არჩეული მის მიერ ერთი წლით.

12) პრიციპიალურ საკითხებზე კონფერენციას და კომიტეტს დადგენილება გამოაქვთ შეთანხმებით, ხოლო ორგანიზაციული, პრაქტიკული და ტექნიკური ხასიათის საკითხები წყდება ხმების უბრალო უმეტესობით.

4. ლიგის საშეალებანი.

13) ლიგის მუშაობის ხარჯებს ფარავენ ლიგის წევრები.

14) ეს სტატუტი შედის ძალაში კონფერენციის მიღების დღიდან და ითვლება დროებითათ, სანამ ის არ დაუდასტურებია ლიგის წევრებს.

«თ ა ნ ა რ ს მ ბ რ ბ ა ?

სტალინმაც თავის დროშე ამცნო კაცობრიობას, რომ «მშვიდობიანური თანაარსებობა» შესაძლებელი იყო რუსულ ბოლშევიკისა და დემოკრატიულ ქვეყნებთა (ამერიკულ ევროპა) შორის, რასაც სენსაციის მოყვარული ევროპიელი პრესსა დიდის ამბით აუწყებდა თავიანთ მკითხველებს. ამას აცხადებდა დესპოტი მაშინ, როცა ის ომს აწარმოებდა (სხვების ზურგით) კორეიაში, ინდოჩინეთში და აგრეთვე «ცივ» ომს ამერიკასან ბერლინში და სხვაგან.

მისი მემკვიდრეებიც ხომ უფრო ჩშირათ და დაჯინებით ამასვე იმპორტებნ, —თითქმის მოითხოვნენ — და უნდათ უმტკიცონ ქვეყანას, რომ მათ ეს გულწრფელათ სურთ.

საჭირო ისმება: შესაძლებელია მართლაც არა რუსეთის იმპერიასა და თავისუფალ დასავლეთ შორის «მშვიდობიანური თანაარსებობა»?

ცნობილია — და ეს გამოაშეარავდა სტალინის სიკვდილის შემდეგ — რომ ეკონომიური მდგომარეობა რუსეთისა და სატელიტების საგრძნობლათ ცუდია და ძლიერ მწვავეთ დგას სურსათ-სანოვაგის საკითხი. ამას ამ ხანებში უკვე თვით რუსებიც ველარ მალავენ. მალენკოვი ამბობდა 1953 წლის აგვისტოში: «აუცილებელია 2—3 წლის შემდეგ მაინც, მივაწოდოთ მოსახლეობას შეტი და საქმაო სანოვაგე და ინდუსტრიალუ-

რი ნაწარმოები და აგრეთვე სხვა ყოველდღიური მოსახმარი პირებისაგები». ორი წელი გადის ამის შემდეგ და დაპირება არ შესრულებულა და ვერც შეასრულებენ. იგივე მალენკოვი ასე ანუგეშებდა ხალხს: «ვინაიდან ჩვენ მოვახდებით მძიმე ინდუსტრიის განვითარება, ეს გარემოება ხელს შეუწყობს საუკეთესო პირობებში შევქნათ წარმოება საკონსომაციო საქონელის. აქამდის ჩვენ არ გვქონდა საშუალება მსუბუქი სასურსათო წარმოება სწრაფათ გაგვენვითარებია. ეხლა კი ჩვენ ეს საშუალება მოგვეპოვებათ და სხვ.

მაგრამ მალენკოვის ყველა ეს დაპირებანი მთავრობის სახელით უარყო უკანასკნელათ ხრუშჩევმა და პარტიის ცენ. კომიტეტმა. ვგონებ პურის საკითხიც კი იდგა და სდგას. მალენკოვი კი ამშვიდებდა ამ მხრივ მის ქვეშევრდომოებს. მაგრამ ტყუილი იყო, ვინაიდან შიკოიანი მოგვითხრობდა (მარტი 1954 წ.) და ველარ მალავდა, რომ პური და სხვა მარცვლეულობა არ იყო საკმაოთ. ის კი არა, სასოფლო მეურნეობამ ისე დაიწია უკან მეფის რუსეთთან შედარებით, რომ მშრომელი ხალხის უმრავლესობა მოკლებულია ხორცს, რძეს, ერბოს, მწვანილეულობას და ქართოფილსო.

ხალხის დასამშევიდებლათ მთავრობა შეპირდა მას «პური უსასყიდლოთ», მაგრამ აქამდის ის არ დაურიგებიათ (აკი წინეთ თითქოს ყველაფერი თავზე საყრელათ იყო ამ მიწიერ სამოთხეში!) ამას რომ თვით კომუნისტური მთავრობა ალიარებს, ეს ნიშნავს, რომ, აღმართ სახლში ყველაფერი რიგშე ვერ არის. წინეთ რომ ტრაბაზობდენ, ეხლა ტრაბაზობასაც ვერ ბედავენ, ისე აშკარაა სინამდვილე.

მოსახლეობის კეთილდღეობა კი ეწირება მძიმე ინდუსტრიის, კიდევ უფრო რომ განვითარდეს ის ყუმბარების და-სამხადებლათ, ავიაციის გასამაგრებლათ.

რაც შეეხება რუსის მიერ გატყავებულ სატელიტებს. არის მრავალი დამამტკიცებელი საბუთები—მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია.

ამას დაუმატეთ კიდევ ამის შიში H-ის საშუალებით—რომელიც მათ ძილს უფრთხობს, და მაშინ თქვენ იპოვით ნამდვილ მიხეჭს მათი *«მეტამორფოზის»*. ბევრს კიდევ ჰგონია პოლიტიკა იცვლება. არა, რა თქმა უნდა, იცვლება ტაქტიკა ძველი მიზნის მისამწევათ, უნდა ფინს გავიდეს ახალი შეთოდით, უნდათ ასული მოითქვან, დაავერონ დასავლეთი, რომ ისინი არიან მშვიდობიანობის მოყვარე და სურთ მასთან *«მეგობრული თანაარსებობა»*.

და აი—გაჭირება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო—მოუხშირეს განცხადებანი მშვიდობიანურ თანაარსებობაზე და გუშინდელი მურტალი, გაუზრდელი რუსის ბოლშევიკი უშვერი სიტყვებით რომ უმასპინძლებოდა ყველა თავისუფლების მოყვარულ ადამიანს და სახემწიფო კაცებს—დღეს უცემონს იცვლის, თავაზიანობის პროფესორებათ გვევლი-



ება. აგერ «დაითანხმებენ» რა უკეთესი ი ის კანკრესტე ეროვნული დაქსწრონ, ერთი მეორეს სტუმართ მოყვარეობაში და ზრდი-ლობაში ეჯიბრებიან. ამ ხნის განმავლობაში მათ ღიმილი ბაგეზე არ მოსცილებია (ხშირათ იყო ასეთ მომენტში უადგილოთ გაიცინებდნენ), ღიმილი, რომელიც ასე «ხიბლავდა» ეკრანის უსრუნველისტებს. არა თუ ღიმილი, კიდევ ბევრ რა-მეზე წავლენ—ოლონდ დროებით თავი დაახწიონ მძიმე მდგო-მარეობას, რომელშიდაც ისინი იძყოფებიან.

საკვირველია, როგორი სისწრაფით იბრუნებენ ფეხს და გუშინ ამერიკელის ჭამია, დღეს მას მეგობრობაში ეფიცება. არის ურთიერთ შორის პატივობა. ბოლშევკიები მოდიან ევ-როპაში. დემოკრატიულ ერთა წარმომადგენლები მოსკოვში. ატომის კონფერენციაზე დაესწრენ უნივერსიტეტი, სადაც ერთი მე-ორეს ამცნებს ის, რაც უმთავრესად ყველამ იცოდა. რაც და-სამარავი და საიდუმლო იყო, საიდუმლოთვე დარჩა.

კულტურულ გაცვლა-გამოცელის განვითარებას ძლიერ მოითხოვს რუსეთი. გუშინ უკიდურეს, დახავსებულ ნაციო-ნალიზში იყვნენ განვეული. თქვენ გახსოვთ, რას ამბობდა ედანოვი: «რუსებს არ სჭირდება რაიმეს სწავლება უცხო-ლებისაგან, წინააღმდეგ, რუსები მისცემს გაკვეთილებს დამ-პალ კაპიტალიზმს. არ არსებობს არავითარი «მსოფლიო მე-ცნიერება», ეს კოსმოპოლიტების ლაზარნდარობა, მხოლოდ ერთი რამ არსებობს: ერთის მხრით საბჭოს მეცნიერება, რო-მელსაც აქვთ უპირატესობა ყველა დანარჩენებზე და ემსახუ-რება პროგრესს და მშვიდობიანობას და მეორეს მხრით მე-ცნიერება კაპიტალისტური ქვეყნების, ამერიკის, რომელიც ემორჩილება ომის მოტრიფიალე ხალხის ბრძანებას—გამოი-გონოს საშუალება ხალხის მასიურათ გასაწყვეტათ და რო-მელმაც გამოიწყია კორეიაში ბაქტერიოლოგიური ომი» და სხვა. ამ გვარათ სწერდა მთელი ბოლშევკური პრესა და სწერდა ბრძანებით. 1952წელს 10 დეკემ. «პრავდა»-ში კითხუ-ლობთ: «იმპერიალისტურ ამერიკაში მკვლელ-განგრე-ბის, მკვლ-გაჭრების და მკვლელ-პოლიტიკოსების გვერდით თქვენ შეხვდებით მკვლელ-მეცნიერებს». ამასვე იმეორებდნე სხვა განეთებშიც, რადიოში, რომანში, თეატრში.

ეხლა? ეხლა სულ სხვას გაპირიან, «ლიტ. განეტა» ყვე-ლაზე უფრო ანტიამერიკული, რადიკალურათ ცვლის ტონს. აქ სწერენ: «უნდა განვითარდეს კულტურული კაეშირი ერთა შორის», «ვიცხოვროთ მეგობრულათ სხვებთან». საბორთა მოქანდაკე კომენკოვი გაიძახის: «დაინგრეს ყოველი კედელი, რომელიც ხელს უშლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა კავშირს!» ის დიდის სინაზით ლაპარაკობს «მის ამე-რიკულ ძველ მეგობრებზე» და სხვ.

ეხლა დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც ჩეენ დასაწყისში დაესვით: შესაძლებელია, თუ არა ეს «მშვიდობიანური თანა-

არსებობა» ასეთ ადამიანების: რუსეთის იმპერიასა და დასა-
ვლეთ დემოკრატიათა შორის?

სანამ მალენკოვი დაეცემოდა ბრუშჩევი რამდენჯერმე
აცხადებდა დასავლეთის გასაგონათ, რომ რუსეთის საგარეო
პოლიტიკის მიზანი არის მშვიდობიანური თანაარსებობა ორ
რეებითა შორის, რომელთა სხვადასხვაობას და დოქტრინა-
ლურ ანტიგონიზმს არ შეუძლია ხელი შეუშალოს ურთიერთ
შორის მეგობრულ დიპლომატიურ დამოკიდებულებას და
ორ მხარეთა შორის ვაჭრობის გახადებას. მართალია, ამავე
დროს საბჭოთა კავშირის სამხედრო ბიუჯეტი ათი პროცენ-
ტით გაიზარდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ «დასავლეთი ემზა-
დება ომისათვის»-ი, ეს ნიშნავს რას?: შინ ბოლშევიზმი ემზა-
დება ომისათვის და გარეთ კი «მეგობრულ» ხელს უშვერს
ყველას, რომ ამ გზით—მისი ფიქრით—შესაძლებელი იქნება
ძალთა წონასწორობის დარღვევა და მისი შეცვლა რუსეთის
სასარგებლოოთ.

რა არის მიზანი რუსის ბოლშევიზმისა და ყველა მათი
მიმკოლი «კომუნიზმისა? მიზანია ლიკვიდაცია იმ საზოგადო-
ებათა და ერთა, რომელიც ეწინააღმდეგებიან კომუნიზმის
ექსპანსიას, წარმოებას «კოლექტიურ»—სახელმწიფო დოკუმენ-
ტაში კაპიტალიზმის დამყარებას—ტოტალიტარული სტრუქტუ-
რით და მთელი დედამიწის ზურგზე რუსეთის ხელმძღვანელო-
ბით. ასეთია მიზანი—საშუალება მის მისალწევათ კი მრავალ-
ფეროვანია, დამოკიდებული დროშე, გარემოებაზე და ად-
გილშე. ომი შეიძლება არ იქნას აუცილებელი, ვინაიდან ის-
ძვირი ჯდება, საშიშია და არაენ იცის, რა მოყობა მას...

სურთ კი რუსებს მშვიდობიანობა? ამის თქმაც არ შეი-
ძლება, თუ ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა გადასწყვიტა სა-
ბოლაოთ და გულწრფელათ ხელი აიღოს მთელი მსოფლიოს
გასაბჭოებაზე, რაც მისი მთავარი მიზანია. მაგრამ ფაქტიუ-
რათ, როცა აღმოსავლეთი აცხადებს, რომ მას სურს «მშვი-
დობიანური თანაარსებობა» დასავლეთთან—ეგებ არც სტუ-
რდეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ, «თანაარსებობა» სხვადასხვა
გვარათ ესმის თითოეულ მხარეს და რუსები თავისებურათ
სარგებლობენ ამ სიტყვით. ყველამ უწყის, რომ ბოლშევიკე-
ბი მუდამ თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე გაიკინან, მაგ-
რამ სინამდვილეში—ცნობილია—მათ ისინი გააფთრებით ებ-
რდებიან. ერთი სიტყვით—ამ სიტყვების შემეცნებაში არავი-
თარი საერთო არ აქვს აღმოსავლეთს დასავლეთთან. იგივე
უნდა ითქვას «თანაარსებობაზეც». დემოკრატიისათვის ეს
ნიშნავს საბოლაოთ ცნობას ორი სხვადასხვა გვარ პოლიტი-
კურ სისტემის არსებობას, უფლებას, რომ მათ იარსებონ
თავისუფლათ და უარის ყოფას ერთმა მეორეს რაიმე ვნება
მიაყინოს. რუსისა და ყველა რჯულის კომუნისტებისათვის
კი ეს ნიშნავს დასავლეთ დემოკრატიის დანგრევის ეტაპს,
სადაც «შეკავშირებული პროლეტარიატი» იბოძვის რა რუ-

სეთის ხელმძღვანელობით, შეუძლია მიაღწიოს მის საბოლაო მიზანს.

ეკრაპისა და ამერიკის ზოგი პუბლიცისტები შემობენ რა არ გაებან რუსეთის მახში, ირწმუნებიან, რომ რუსეთის მიერ მოწოდებული «თანაარსებობა» თავის თავათ არ შეცვლის მდგომარეობას. და, მართლაც—განაგრძობენ ისინი— მშეიდობიანურ თანაარსებობას—ეს ხომ დასაშვებია—ადგილი აქვს, როცა ორი სახემშით თუ იმპერია არ არიან ერთმანეთთან აშკარა ომში. ეს სიმართლეა. წარმოიდგინეთ ორი ოჯახი, ორი მეზობელი, რომელთაც ერთი მეორეს ეჯავრება, ხმასაც არ სცემენ ერთმანეთს და სანამ ამ მეზობელს თავში არ ჩაერავ ან და ხანჯლით არ გამოეკიდები, თანაარსებობა მშეიდობიანურია; გადამტერებულიც რომ იყენენ ერთი მეორეს გვერდში მაინც არსებობენ. როცა ომი იყო ჩრდილოკორეიასა და მისი მოკავშირე ჩინეთის ერთის მხრით და სამხრეთ კორეიასა და მის მოკავშირე ა. ნ. უ.-ს მეორეს მხრით; აგრეთვე, როცა ინდოჩინეთში ვიეტნამი ერთის მხრით და ფრანგები და ვიეტნამი მეორეს მხრით, ომს აწარმოებდენ, მშეიდობიანური თანაარსებობა, ნორმალურ დიპლომატიური და სავაჭრო დამკიდებულებით. არ დარღვეულა რუსეთსა და ატლანტიკის მოკავშირეთა შორის, თუმცა არა უშვალო ომს ქონდა ადგილი ვიწრო, განსაზღვრულ ფარგლებში და ორივე ბანაკი ფაქტიურათ თანახმა იყო, რომ ეს კონფლიქტი საზოგადო ან ხსოფლიო ომათ არ გადაქცეულიყო. და როცა ეს ადგილობრივი კონფლიქტი «შეწყდა», მშეიდობიანურ თანაარსებობამ სხვა სახე მიიღო და გადაიკაცა ცივ «ომათ»; ბრძოლა არ არსებობს არც უშვალო და არც მესამე პიროვნების საშუალებით, მაგრამ ომის საშიშროება არსებობს: საშუალებებს ამაგრებენ და იცავენ, სტრატეგიულ ბაზას იკავებენ, შეიირალება ჩალდება; იბრძვინ პროპაგანდის საშუალებით, უთვალყურებენ მოწინააღმდეგეთ და სხვადასხვა. ამავე დროს კი დაეინებით აკეთებენ მრავალ მშეიდობიანურ დეკლარაციას, რომლის მიზნია დააინოს და დააბნიოს მოწინააღმდეგე, არევდარევა შეიტანოს მის ბანაკში.

სოციალისტ პინეს აზრით, თანაარსებობა აქამდისაც იყო. სასურველია კოოპერაცია. ეს კი მოითხოვს ერთის მიერ მეორეს ჩრდინისა და იდეების პატივისცემის; ეკონომიურ გაცვლა-გამოცვლას პატიოსანის გზით. თავისუფალ აზრსა და პიროვნებას უნდა ქონდეს საშუალება ერივე ბანაკში თავისუფლათ შესვლისა და გამოსვლის. ასე თუ არ მოხდა, თუ ჩვენ მისას თავისუფლათ ჩვენი აზრი ვერ გამოვსთქვით, ჩვენ-ში კი კომუნისტების პროპაგანდამ არხეინად ითარებოს და ავტოკროს ჭორები—ეს უთანასწორობა კვლავ გამოიწვევს კონფლიქტებს. მაშ თანაარსებობა არ კმარა, დაასკენის ავტორი—უნდა მოხდეს კოოპერაცია. მეორეს მხრით მუშათა

წრეში ზოგს მათთან მეგობრობა კიდევ აშინებს; ინგლისის ტრედიუნიონის თავმჯდომარებ სთქვა (უკანასკენელ კონგრესზე): «დელნცი» რა თქმა უნდა კარგი საქმეა, მეგობრობა სჯობისა სიძულვილს. მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო—ჩენ მოწამე გავხდებით მეგობრული ენფილტრაციის და საშიშია კომუნისტებმა უფრო ადვილათ მოახერხონ მუშათა ორგანიზაციებში შეძერენა. და ყოველი მეგობარი, რომელიც ჩენს სახლში შემოდის იმ განსრახვით რომ დაგვანგრიოს, არ არის ნამდვილი მეგობარი და სიფრთხილე გვმართებსო.

მაგრამ ის, რასაც პინეს სურს, თუ რუსებმა მიიღეს (თავისუფალი პროპაგანდა მისას—განსაკუთრებით), მაშინ რუსეთის იმპერიის ქვეშეერდომები ხომ გათვითცნობიერდებიან, გათამამდებიან და დემოკრატიულ წესწყობილებაზე იფიქრებენ. ამანე კი მოსკოვი ვერ წავა, ვინაიდან ეს იქნებოდა მისი თვითმკვლელობა. გაბატონებული დესპოტები ვერ დაუთმობენ ხალხს თავიანთ ადგილს, და თუ მართლაც ისინი შესდგებიან დემოკრატიულ გზაზე, ამ შემთხვევაში ხომ ბოლშევიკები უსარგებლო და ზედმეტი იქნებიან, რადგან დემოკრატიას ხალხი, დემოკრატები უკეთ შექმნიან, მოაწყობენ და გაუძლვებიან მას ვინე გუშინდელი ტირანები.

უკელა ამ მოსახრებებით, ვფიქრობთ, «თანაარსებობა» და ისიც მშევიდობიანური შეუძლებელია აღმოსავლეთსა და დასსვლეთს შორის. თუ ევროპის დიპლომატების ერთი ნაწილი ბრძა არის, წინააღმდეგ, ამერიკას გათვალისწინებული აქვს მდგომარეობა, საკმაოთ იცნობს რუსებსაც და კომუნისტებსაც და მათ მიერ დაგებულ მახეში არ გაებმება. უკელას ესმის დლეს, რომ მგლის თავზე სახარების კითხვა ამარა. კაციჭამია და ცივილიზაციის მატარებელი ერთათ ვერ მოთავსდებიან.

ორ ბანაკთა შორის ნამდვილი, ლოიალური მშეიდობიანური თანაარსებობა დამოკიდებულება უნიკოფო თცნებაა. ეს თვით მომლიმარე ხრუშჩევმა და სხვა ბულგალინებმაც კარგათ იციან. ცეცხლი და წყალი ერთი მეორეს ვერ ითმენს. ტირანია და თავისუფლება ვერ მორიგდება. მათ შორის ლრმა, ამოუსებელი უფსკრულია. ან ერთი უნდა მოისპოს, ან მეორე, სხვა გამოსავალი არ არის. და ვინაიდან კაცობრიობის წინსვლა შეუქერებელია, მისი ერთი ნაწილი კიდევ დიდხანს დესპოტიზმის სამარცხვინო უდელს ვერ ატარებს, ვერ შეეგუება მას. ცივილიზაცია წინ მიდის, დღევანდველი მდგომარეობა მეორე საუკუნეში დროებითი მოვლენაა, სურპრიზია. შშრომელთა მასსა, თავისუფლების მოტრფიალე პიროვნება თუ ხალხი, ვერ ასცდება თავის გზას; გადალახავს რა ყოველივე წინააღმდეგობას, გაიმარჯვებს. ასეთია ისტორიის განაჩენი.

ანუანი.

პ ა რ ი ზ ი.

პარიზში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ამნი-შნულ იქნა ჩევეულებრივი სიცხველით, მდიდარი პროგრა-მით, რომელსაც დაესწრო დიდალი საზოგადოება. სცენას ამ-შვენებდა ქართული ტროშები. ფარდის ახდისას მომლერალ-თა გუნდმა ბ-ნ მ. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით შესარუ-ლა ქართული ჰიმნი. სათვისტომოს თავმჯდომარის ბ. შ. აბ-დუშელის მოყლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვის შემდეგ პრო-ფესორ მუსხელიშვილმა წარმოსთქვა ფრიად შინაარსიანი სი-ტყვე საქართველოს სუვერენულ უფლების შესახებ. მან მოხ-დენილად დახატა დამსწრე საზოგადოების წინაშე საქართვე-ლოს უდავო უფლება დამოუკიდებლობის ადსაღვენათ. სა-ზოგადოება დიდის ყურადღებით უსმენდა მას და ხანგრძლი-ვი ტაშით დააჯილდოვა ის.

ამის შემდეგ ქართულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა გამგე-ობის წევრმა ბ. შ. კალანდაძემ და თავისი ლექსი წაიკითხა პოეტ გ. ყიფიანმა. ორთავეს საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით მიეგება.

მომლერალთა გუნდმა და მოცეკვეთა გამოსელამ დი-დათ ასიამოვნა საზოგადოება.

მ ი უ ნ ს ე ნ ი.

26 მაისს ქართული ეროვნულ-გაერთიანების ორგანიზა-ციის თაოსნობით შესდგა საშეიმო სხდომა საქართველოს და-მოუკიდებლობის გამოცადების დღის აღსანიშნავად.

ბ. მასე იმნაიშვილმა თავის საინტერესო მოხსენებაში მოუთხრო საზოგადოებას თუ რა პირობებში ხდებოდა საქა-რთველოს სახელმწიფო განვითარება უძველეს დროი-დან უკანასკნელ ხანამდე.

სხვადასხვა პირების მიერ წარმოთქმულ სიტყვების შემ-დევ მოსმენილ იქმნა აგრეთვე ქართული რედაქციის რადიო-გადაცემა 26 მაისის აქტის შესახებ.

ს ი მ ბ ა.

ადგილობრივმა ქართულმა სათვისტომო 29 მაისს იდ-ლესასწაულა ჩევნი ეროვნული დღე 26 მაისი.

საზოგადოების დარბაზი მორთული იყო ფრანგულ-ქარ-თული დროშებით და ყვავილებით.

პოლიტიკურ მოლვაწეთა, მწერალთა და გმირთა სურა-თები, გარემოცული ცოცხალი მშვენიერი ყვავილებით ამ-შვენებდენ დარბაზის კედლებს. სალუქვაძეს ასული ვარდო პატარა სამფერვოან დროშას აკვრიდა გულწე ყველა დამს-წრეთ. ეს ქართული, ტანჯული სახეები, ამ დღეს გაბრწყინე-ბული იყო და უთუოთ გულიც საეს მრავალი ტკბილი თუ მწარე მოგონებებით.

კრება გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარებ ბ-ნმა ალ. შათირიშვილმა, მისაღმებისა და გმირებთა მოხსენიების შემდეგ მან წაიკითხა მოხსენება თემაზე: «ცნება სამშობლოს გარკვევა უორესის მიერ». ამ საუცხოვოთ შედგენილმა მოხსენებამ უდაბ ლრმა შთაბეჭდილება დასტოვა და მხურვალე ტაშით იქნა დაჯილდოებული. მშვენიერი ლექსი წაიკითხა პოეტმა ბ-ნ ევტ. აბულაძემ. მოწოდებით მიმართა ბ-ნ ვ. დოლიძემ დამსწრეთ. ბ-ნ მელ. ულენტი უერთდება დოლიძის აზრს და დასძნეს ზოგ საინტერესო მოგონებებს. დამსწრენი მიპატიუებულნი იყვნენ სასმელზე, სადაც ბ-ნ ოთარ კრავეი-შვილმა წაიკითხა ძლიერ მგრძნობიარე ლექსი.

დაბოლოს გაიშალა ქართული სუფრა, რომელიც საღამოს დაბოლოვდა.

დამსწრენი დიდი ნასიამოვნებინი დაიშალნენ.
დამსწრევ.

ა გ ვ ი ს თ რ ა ს დ დ ვ .

პ ა რ ი ზ ი.

ამა წლის 18 სექტემბერს ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ მოაწყო საერთო კრება აგვისტოს აჯანყებაში გმირულად დალუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად. სათვისტომოს თავმჯდომარებ შ. აბდუშელმა მოუწოდა საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი სცენ დალუპულ გმირთა ხსოვნას. რის შემდეგ მოკლეთ აღნიშნა აგვისტოს აჯანყების მნიშვნელობა და განსაკუთრებით მოიხსენია ახლად გარდაცვლილ დამოუკიდებლობის კომიტეტის კ. ანდრონიკაშვილის პიროვნება. ბ. აკ. ჩხერეკელმა მოიგონა კ. ანდრონიკაშვილის ახალგაზრდობა და მისი გმირული გამოსვლები «დამკომი»-ს გასამართლებაზე თბილისში. მან მხურვალე მოწოდებით მიმართა ქართულ ემიგრაციას გაერთიანებისთვის. ბ-ნ იოსებ გობეგიძამ მოიგონა და დააფასა ცუვლა ის გამოსვლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ხევადასხვა კუთხეში და მყაფიოდ დახატა აგვისტოს დღეების მნიშვნელობა. ვ. ინწყირველმა თავის შინაარსიან სიტყვაში სწორი შეფასება მისცა აგვისტოს აჯანყებას. ბ. შ. კალანდაძემ წაიკითხა სიტყვა «დამკომი»-ს პრეზიდიუმის წევრის იასონ ჯავახიშვილის—თბილისის გასამართლებაზე წარმოთქმული. დამსწრე საზოგადოება უდიდესი ყურადღებით ისმენს სამშობლოს სიყვარულით აღნებულ, თავდაცებულ, გამედულ სიტყვას და მხურვალე შეუწყვეტელი ტაშისცემით თავის თანაგრძნობას უცხადებს დიდი პატრიოტის გმირულ გამოსვლას ჯალათების წინაშე.

ბ. გოგი წერეთელი აღნიშნავს, რომ ის ეკუთვნის იმ ახალ თაობას, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა აჯანყებაში მაგრამ ამ თაობამ და მომავალმაც მისაბაძ მაგალითად უნდა გაიხადოს აგვისტოს გმირთა ბრძოლები...

მ ი უ ნ ხ ნ ი.

ქართულ ეროვნულ გაერთიანების ორგანიზაციის მიერ
 იყო 29 აგვისტოს მოწვეული კრება 1924 წ. აჯანყებაში მონა-
 წილეთა აღსანიშნავად. აღსანიშნავია რომ ამ კრებას დაეს-
 წრებ თითქმის ყველა აქ არსებულ დაჯგუფებათა წარმომად-
 გენელი.

საზოგადოების თავმჯდომარის ბ. კ. ინასარიძის მოკლე
 სიტყვის შემდეგ ვრცელი და ფრიად საყურადღებო მოხსენე-
 ბა გააკეთა ბ. ნიკო ნაკაშიძემ 24 წლის აჯანყების მნიშვნელო-
 ბაზე. მოხსენება იქნა დიდი ინტერესით მოსმენილი დამწრე
 საზოგადოების მიერ. აგრეთვე საზოგადოება გაეცნო რადიო-
 სადგურ «განთავისუფლება»-ს გადაცემას ამ დღის გამო...

ნოვ ჟღვრდანიას ძეგლის გასხვა.

ამა წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული დღესას-
 წაულის დღეს, მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუ-
 ბლიკის პრეზიდენტის ნოვ ჟღვრდანიას ძეგლის გახსნა.

ძეგლი მოუძღვნა მას უცხოეთში გადმოხიზნულმა ქართ-
 ველობამ. გასხვას დაესწრო მრავალრიცხვანი საზოგადოება.
 ამ დღისათვის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა საქართვე-
 ლოს ეროვნულ მთავრობის წევრმა კ. კანდელაკმა.

მა- ბეჭედის გარდაცვალების ერთი წლის თავზე.

ამა წლის 13 ივლის, მრავალრიცხვან ქართველ საზოგა-
 დოების თანადასწრებით სოფ. ლევილის სასაფლაოზე გადახ-
 დილ იქნა პანაშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინის-
 ტრის ევგენი გეგეპკორის გარდაცვალების ერთი წლის თავზე,
 რის შემდეგ «შატროს» დარბაზში დამსწრე საზოგადოებას აჩ-
 ვენეს ეკრანზე დასაფლავების დღე. იქვე წარმოთქმულ იქნა
 შოსაგონარი სიტყვები.

ვ. გადგვაძის გარდაცვალების 6 თვის თავზე.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის პარიზის ორგანიზა-
 ციის კომიტეტმა მოაწყო სამოქალაქო პანაშვილი დაუვიწყარ
 მებრძოლის ვალოდია გოგვაძის გარდაცვალების ექვსი თვის
 თავზე. კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ჩუბინიძის მოკლე
 მოსაგონარ სიტყვის შემდეგ და მისი წინადადებით დამსწრე
 საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ვალ. გოგვაძის
 ხსოვნას.

სიტყვები წარმოსთქვეს: მ. არსენიძემ, გოგი წერეთელმა,
 ლ. ულენტმა, გ. ყიფიანმა, შ. კალანდაძემ, პრ. ინწკირველმა,
 გრ. ურატაძემ, იოს. გობეგიძმ და კ. კანდელაკმა.



პრიანა უსატაძის გარდაცვალება.

1955 წლის 27 სექტემბერს ავად გახდა ქალბატონი ურა-ტაძისა, მეუღლე ჩეენი მცხვან ამხანაგის და დამსახურებულ პოლიტიკურ მოღვაწის—გრ. ურატაძის, მისი ერთგული თანამგზავრი და დამხმარე. ლოგინა ჩაწოლის თანაცე ის უცნობოდ დაუცა და 9 ოქტომბერს სამუდამოდ გამოეთხოვა წუთისოფელს. ამ მცირე ღრმს განმავლობაში მას თავშე ადგენ მისი მოსიყვარულე მეუღლე, მისთვის ძეირფასი ქალიშვილი მედუნა და განუყრელი და, ახლო მეობრები, ყველანი თავს ევლებოდენ და მისი გამობრუნების იმედს არ კარგავდენ...

პარიზის ქართულ საზოგადოებას ელვის სისწრაფით მოედო მისი ავადმყოფობა. ყოველ დღიურად სურდა ყველას გაეგო თუ რა მდგომარობაში იმყოფებოდა ავადმყოფი. არავის სურდა შერიგებოდა იმ აზრს, რომ ეს კეთილშობილი ადამიანი მათ განშორდებოდა,—ადამიანი, რომელმაც ლტოლვილ საზოგადოების გული მოიგო, დაიმორჩილა და იქ სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ათეული წლები გატარა თავისი ძეირფასი თვალით ქალბატონ არიანამ ს. ლევოლის «შატოში», თავისი თვალით ქახადა ლტოლვილ ქართველ-

თა მისალებ კერად, სადაც ყველას შეეძლო დაევიწყებია უცხო მხარის უჩვეულო პირობები, თავი საკუთარ სასმობლოში წარმოედგინა და ოჯახური სითბოთი გაექარვებია სევდანასველი... ქალბატონ არიანასთვის ნივთიერი სივიწროვე არ არსებობდა, პირადი გაჭივრება მას არ აშინებდა, ოღონდ ოჯახი ქართველისთვის ქართველური მასპინძლობის სიტყობოით ენიარებია, მისთვის ლტოლვილის ხვედრი დაევიწყებია.

თვითონ ხელმოკლე, —ყოველ კვარეულად ის კითხულობდა თუ ვინ ჩამოვიდა «შატოში» —ხომ არავინ დარჩა გაუმასპინძლებელი და არ დაწყნარდებოდა მანამ, სანამ დადებითი პასუხს არ მიიღებდა. მუდამ ხალისიანს, რომელი ავადმყოფი იქნებოდა რომ მას არ ენახა, მისთვის გამამხნევებელი სიტყვა არ ეთქვა, დახმარება არ გაეწია. თვითონ იყლებდა, ოღონდ ავადმყოფს და გაჭივრებულს დახმარებოდა.

... და აი ამ ჩუმ, უანგარო და ყველასთვის ძვირფას მოლვაშემ ჩუმად მიისუენა 9 ოქტომბერს, ჯერ კიდევ 58 წლისამ და მით დააობდა ოჯახი, მთელი ქართული საზოგადოება.

მიუხედავათ საქმიან დღისა, 13 ოქტომბერს პარიზის ქართველ საზოგადოებამ თავის უალრეს მოვალეობად ჩასთვალა გამოითხოვებოდა ძვირფას ადამიანს და მრავალ რიცხვანმა თავი მოიყარა მის ბინაზე «შატოში». ყველა დასევდიანებული, დაღონებული თვალცრემიანი მისჩერებოდა ყვავილებში ჩასვენებულ სათხო ადამიანის კუბოს და გულდაწყვეტილი ეთხოვებოდა მის ცხედარს... «შატო»-ს ეზოში, იქ სადაც ხშირად გხერდავით ქალბატონ არიანას მომცინარს. უკანასკნელად გამოეთხოვა ის დაობლებულ მიდამოს; მამა ილიამ გადაიხადა პანაშვილი... შემოდგომისგან დასუსტებულ მჩემ მაიც შესძლო სხივების სითბო დაეფრქვია ბალახებზე დაწილილ კუბოსთვის... ცრემლმორეულ საზოგადოების მწუხარება გაიზიარა ას წლივან ცაცხვის ხეებმა, რომელთა ჩრდილში არიანა არა ერთჯერ გამასპინძლებია ძვირფას მეგობრებს... სულ განაბული ხის ფოთლები თითქოს მალინდან უსმენდენ მგალობელთა გუნდის ხმას... იშვიათ ადამიანის საუკუნ ხსენებას საუკუნო გულში იმარხავდა მოშორებით რხევისგან შეჩერებული ხეხილოვანი, რათა მომავალს გადასცეს, რომ აქ სხვა მამულიშვილთან ერთად ცხოვრობდა სამშობლოსთვის წამებული ქართველი მანდილოსანი, ქართული ოჯახის ფუძე მდებელი, ეროვნულ საქმისთვის თავდაცებული.

პანაშვილის შემდეგ ნელის ნაბიჯით სამგლოვიარო პროცესია მიდის სამუდამო განსასვენებელ ადგილას. ქალბატონი არიანა მიებარა უცხო მიწას, სადაც მისი და მისი მეულლის არა ერთი თანამებრძოლნი და მეგობრები განისვენებან...

სასაფლაოზე წარმოთქვეს სიტყვები: ქნ ლუბა აბდუშელისამ (მისი სიტყვა აქვე იბეჭდება), სოსიპ. ასათიანმა (წერი-

ლობით), ქ-ნ ინა კორდანიამ, აკ. ჩხერიძელმა, რაე. არსენიძის დავალებით და მისი სახელით კ. ქაგთარაძემ, ქართველთა სა-თვისტომოს სახელით შ. აბდუშელიმა.

განსვენებულს მიართვეს ცოცხალი ყვავილებისგან გვი-რგვინი—ქართველთა სათვისტომოსაგან, ქართული რადიო-რედაქციისაგან «განთავისუფლება» (მიუნსენიდან), ტუბერ-კულიოზთა კომიტეტისგან, ლევილის და სან-უერმენის ქარ-თველობისაგამ, ბაბოსა და ფრიდონისგან, ვასო წულაძისა და მისი ოჯახისაგან, მათიკო და მიშა სტურუასგან, ვიქტორ ხო-მერიკისგან, დ. ურატაძისგან და მრავალი თაიგულები ცალკე პირებისგან.

დამწუხებულმა ოჯახმა მიიღო თანაგრძნობის წერი-ლები და დეპეშები: საქართველოს სოც.-დემ. პარტიის საზ. ბიუროს, პარიზის ს.-დ. ორგ. კომიტეტის და ეროვნულ საბ-ჭოს ს.-დ. ფრანგიის შეერთებულ სხდომის, სოშოს ს.-დ. ორ-განიზაციის, აბრნდანის ს.-დ. ჯგუფის, რადიო «განთავისუფ-ლება»-ს ქართული რედაქციის (მიუნსენი), საბჭოთა რუსეთის შემსწავლელ ინსტიტუტის (მიუნსენი) თანამშრომელთა სახე-ლით და პირადათ მისგან—პროფ. ფრედრიკსონის, დ. გოლდ-შტეინის—მიუნსენის ინსტიტუტის განყოფილება პარიზში, პროფ. მიხ. წერეთელის, აკაკი და თამარ პაპავების, გ. ნაკაშიძე, ს. გეგელაშვილის, ს. კორძაიას და მისი მეულლის, ალ. შათო-რიშვილის—სოშოს ქართველთა სათვისტომოს, კ. ჩხერიძის, ხარ. შავიშვილის, რ. ყიფიანის, ვ. დოლიძის, დ. ქიმერიძის, კოწია და ბაზულია გვარჯალაძე; ქ. ქ. დადეშველიანი, დეკა-ნოზი, გამრეკელი, ე. წულუკიძე, კ. კანდელაკი, ვალ. კვაჭან-ტირაძე, ს. მენალარის, გოგა ჯავედის, ბ. ნიკოლაევსკი, ალ. და ელ. ცომაიები, მ. და თ. დადიანები, ბერიძის ოჯახობის და ალშიბაიას, ხ. ხინიკაძის, მ. ბეგრიაშვილი, ექ. ან. ურუკ-ლიანი, მამა ივანიცეკი (ინგილო), კ. ინასარიძე, ს. კვიტაშვილის, გრ. უჩაძის, ბარბარე და გრიგოლ ალშიბაიას, სოსო გო-გოლაშვილი, ხ. ნაკაშიძის, გ. კერესელიძის, დ. ხელაძის და სხვა მრავალ მეგობართვაგან...

ქ-ნი ლება აბდუშელის ხიტყვა ხახატლაღწე.

სულიერო მამაო, ქალბატონებო და ბატონებო! დღეს ერთხელ კიდევ ლევილის სასაფლაო თავს უყრის მწარეთ დამწუხებულ ქართველ საზოგადოებას. ლევილის მიწა დღეს იძარებს ჩვენთვის მეტად საყვარელ არიანას. იშვიათი მეულე, დედა, მეგობარი თანამემამულე, ფაქიზი, უზომოთ კეთილ შობილი ხასიათის, გულუხვი, სტუმართ-მოვარე, ამაყი—აი ჩვენი არიანა.

უმეტესი ნაწილი ჩვენი აქაური ახალგაზღობისა გავლი-ლია მის ხელში. მისი პატარა პანიონერები ალმერთებდენ არიანას, რომელიც მათ თავზე დატრიალებდა როგორც ტკბილი დედა და საქართველოს და ქართული ენის ცოდნას

და სიცვარულს უნერგავდა მათ. მის კერაში დისციპლინით ალფურევილი ბაქშვები ერთიერთმანეთს ეჯიბრებიან ქართულ ლაპარაკში, რომ ამით ასიამოვნონ თავზე დარაჯათ მდგომ არიანას. ამით ის დაუფასებელ სამსახურს უწევდა დევნილ ემი-გრაციას. გახდება ვინმე ავათ, არიანას ვერავინ უსწრებს ავათ-მყოფის ნახვაში და მოელაში. უჩინარია, მაგრამ ის ყველგან არის, სადაც საჭიროა ყურადღება და დედობრივი სითბო.

როდესაც ქართველი მამა-კაცი გვიკვდება აქ—ეს საში-ნელებაა, მაგრამ, მერწმუნეთ, კიდევ უფრო მეტი ტრალედია ქართველი ქალის დაკარგვა. ინურება კერა არა მარტო ოჯა-ხის წევრთათვის, არამედ ყველა ჩვენ გადმოხვეწილთათვის. ქართველი ქალი, დაშორებული თავის სამშობლოს, მიუხე-დავათ ყველა დაბრკოლებისა, დარაჯათ ადგია თავზე ემი-გრაციას, ქართულ ტრადიციას და მედგრათ ინახვს კერაში მშობლიურ თბილ ნაპერწყალს, რომ უოჯახოს ქონდეს სა-შვალება ხანდისხან მაინც ეზიაროს მშობლიურ სითბოს, ტრადიციას, სამშობლოს სასმელ-საჭმელს, რომ ამით იმან თავის ფიქრებში მაინც გადასტყორცნს ყველა საზღვრები და თავი იგრძნოს თავის საკუთარ დედის კერაში, რომელიც ჩვენი მუდმივი ოცნების საგანია. ამის მოჭირნახულე იყო ჩვენი წყნარი არიანა. მატერიალურათ ერთობ შეზღუდული, მაგრამ სულით და გულით დიდი, უხვი, ის მუდამ იზიდავდა ყველას. აი ამისთანა ადამიანს ჩვენ ვეთხოვებით დლეს ჩვენი მწარე განცდებით და ლრმა მწუხარებით. და მის დატანჯულ ოჯახთან ერთად გულწრფელათ დავსტირით მას.

დე ყოფილობის დაუვიწყარი ჩვენში ხსოვნა ამ დიდე-ბული მანდილოსნის და იქ კი მას საუკუნო ნეტარება.

გიკიჩ პარდოიანის გარდაცვალა.

ნ დეკემბერს პარიზის ახლოს გარდაცვალა საქართვე-ლოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ყოფილი წევრი მი-კიჩ გარდობიანი.

დასაფლავება შოხდა 10 დეკემბერს ლევილის ქართველ-თა სასაფლაოზე. მიუხედავათ ცუდი ამინდის და საქმის დღი-სა ხალხი ბევრი დაესწრო. სიტყვები წარმოსთქვეს: ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარემ შ. აბდუშელმა და გ. ერაძემ.

ტექნიკური დაბრკოლების გამო გარდაცვალებულის სუ-რათი და შ. აბდუშელის სიტყვა დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

გ. ერაძის სიტყვა სასატლალზე.

ამიერ-კავკასიის სეიმი რომ დაიშალა და ყველა მასში შემავალ ერებმა დაარსეს თავ-თავიანთი ცალ-ცალკე სახელ-მწიფო, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხა-დების, როგორც მიკიჩა ვარდოიანისათვის, ისე ყველა ჩვენი პარტიული სომეხი ამხანაგებისათვის წარმოიშვა გადასაწყვე-ტათ სრულიად ახალი პრობლემა, რაიცა არ არსებობდა არც

რუსეთის იმპერიის დროს, არც ამიერ-კავკასიის ფედერაციის დროს—მათ უნდა გაერკვიათ თავითი დამოქიდებულობა ახლად დაარსებულ ქართულ ეროვნულ სახელმწიფოსთან. ამ კითხვას ართულებდა ის გარემოება, რომ ჩევნ შორის არსებულ ეროვნულ განსხვავებას მიერატა ახალი ელემენტი—საქართველოს სახლერებზე ახლად წარმოშობილი სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მიკიჩა ვარდოიანზა არჩია არა მარტო საქართველოს მიწა-წყალზე დარჩენა, მისი მოქალაქეობის შენარჩუნება, საქართველოს ხალხთან ერთად ყოველი ჭირის და ლხინის გაზიარება, არამედ ამავე დროს იგი გახდა თავისუფალი მოხალისე და თავგანწირული აქტიური მებრძოლი საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს თავდაცვის საქმეში. იგია საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, და როგორც კარგი ხელოსნი, მთავარი ხელმძღვანელი ოსტატია ჩევნი რესპუბლიკის ჯავშნოსნების, რომლებმაც არა ერთ და ორ სახელოვან ბრძოლებში მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის და ერის დასაცემლათ. ამ საქმეში მიკიჩა მთელი თავისი არსებით იყო ჩაბმული: მას არ ახსოვდა არც საქუთარი თავი, არც ოჯახი; მისი საფიქრებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელი და უანგარო სამსახური საქართველოს რესპუბლიკისადმი და მის სახელოვან სახალხო გვარდიისადმი. არ უნდა ვითიქროთ, რომ მან ხელი აიღო თავის ეროვნებაზე; ეს იქნებოდა უდიდესი შეურაცყოფა ცხედოს. ნამდვილი თავდაწებული პატრიოტი საქართველოსი, ამავე დროს ის იყო დიდი და ღრმა სიყვარულით აღსავს მრავალ ტანჯულ სომხის ერისადმი. მის ძალუებში შჩქეფდა მისი მამა-პაპათა სისხლი. მან თავისი მაღალი სული გვაჩვენა, ჩევნსა და სომხეთს შორის სამშუხარო ინციდენტი რომ მოხდა, როდესაც ამ უბრალო ხელოსნამა მოახერხა შეთავსება ერთ და იმავე დროს სიყვარული თავის ერისადა სიყვარული და თავგანწირება ქართველი ერისათვის.

ამის ახსნა უნდა ვეძიოთ არა მარტო მიკიჩას მაღალ თვითშეგნებაში, მის სალ და გონიერ ლოლიკაში, მის მტკიცე და შეურყეველ რწმენაში, არამედ თვით ქართველი ერის ყოფა-ქცევაში, მის პოლიტიკურ და ადამიანურ მორალში, მის მიერ შექმნილ ხალხურ სახელმწიფოს ღრმუშიში, რაიცა მაჩვენებელი იყო მაშვრალ ადამიანთა ოთხი სანუკვარი და სანატრელი ვარსკვლავის: ხალხის კეთილდღეობა, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, ერის და ხალხის თავისუფლება, ერთა შორის სოლიდარობა და მეგობრობა. აი რა იტაცებდა მიკიჩას სულსა და გულს. ახალგაზრდობიდან ხომ ამ იდეალებისათვის იბრძოდა! თუ ბოლშევებიშა მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიისზე მოსპონიდაგი ამ საკაცობრივ იდეალებისათვის ბრძოლის, სამაგიეროთ ამის საფუძველი და იარაღი მიკიჩა პოვა ქართველ მშრო-

მელ ხალხში და მის მიერ შექმნილ დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მან იცოდა რომ მის მიერ შეკეთებული ვალოდია გოგ-ვაძის ჯავსნოსანი არ გაისცრის არც ერთ ტყვიას ვისმეს წასახდენათ და დასამოწებლათ, სხვისი ქონების და მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებათ. ჯავსნოსნების პატრონათ ის ხედავდა ისეთ ხალხს, ვისაც სურდა, რომ ეს საომარი იარაღი გამოიყენოს ავთა და მუხანათთა გარეშე და შინა მტრის წინააღმდეგ, თავის არსებობის, თავის ტერიტორიის და თავისუფლების დასაცემათ. ამ წმინდა საქმეში მონაწილეობა მას მიაჩნდა სამსახურათ არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ ყველა ჩაგრულ ერთათვის და მათში თავის ერისთვისაც. ეს შეგნება და ეს რწმენა იყო რომ ლტოლვილობაშიაც ისეთივე დარჩა, როგორიც იყო საქართველოში. იმ ერს ნაკლებათ გასწირავს ბედი, რომელსაც მრავლათ ეყოლება ასეთი მამული-შვილები, როგორიც იყო ჩვენი საყვარელი მიკიჩა.

ხიმდნ ჩიავილაძის გარდაცვალება.

აბონდანის მოხუცთა თავშესაფარში ტრალიკულათ გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი და ჩვენი თანამებრძოლი, ქართველ ხალხისთვის და მის ქვეყნისთვის თავდადებული პატრიოტი ნიკიერი ადამიანი და დიდი სახალხო ორატორი სიმონ ჩიკვილაძე. მისმა პატრიულმა ამხანაგებმა და მეგობრებმა, თანახმა მისი ანცერძისა, დაასაფლავეს ის ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე.

ს. მათითამშვილის ცნებარის გადმოხვენება.

სერგო მათითამშვილის ცხედარი, რომელიც დროებით იყო დამარხული აბონდანის სასაფლაოზე, მისი ამხანაგების და ნაცნობ-მეგობრების გაღებული წვლილის შემწეობით გაღმოსვენებულ და დამარხულ იქნა ლევილის სასაფლაოზე. სიტყვები წარმოსთქვეს: მ. მელუამ და ლ. ჟენტმა.

3. ლალეალამანიძე.

სპარსეთში (თებერვანში) 23 აგვისტოს 1955 წელს გარდაიცვალა ჩვენი ძეველი ერთგული ამხანაგი ვასილ ცალქიალამანიძე, ცნობილი «ძეველი მუშა» ს სახელით.

არ. გერიელის გარდაცვალება.

ნიუორში გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე საქართველოში ქარგათ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭყონიას შვილი—არჩილ გურიელი-ჭყონი. როგორც თვითონ განსვენებული, ისე მისი მეუღლე, დიდ დამარებას და ქომაგობას უწევდენ ქართველობას ამერიკაში.

პარიზის ქართველობამ გარდაცვალებულის პატივსაცემათ და სულის მოსახსენებლათ პანაშვილი გადაიხადა ქართულ ეკლესიაში.



၀၃၆ၬ၈ ၂၂၃၂၄၁၃၅.

29 ივნის 1955 წ. ქალაქ თემპერანში (ირანი) ხანგრძლივი
და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდი ქართ-
ველი, შეურიგებელი და შეურყეველი მტერი საყვარელი სა-
მშობლოს მხადვრელებისა. დიდი პლატფორმი და საზოგა-
დო მოღვაწე იოსებ პლატონის ძე გეგენავა. ირანის მიწამ კი-
დევ მიიბარა დროებით, საყვარელი და ძეირდასი თანამემა-
მულე, საქართველოს სოციალ-დემ. მუშათა პარტიის წევრი.
მისი რიგების სიწმინდის მუდამ დამცველი, ბუნებით, ხასია-
თით მეტად კეთილშობილი და მიმზიდველი. ძვირდას იოსე-
ბის სიკვდილით ირანში მყოფ ქართველთა საზოგადოებამ
და ქარგა თავისი ხელმძღვანელი. მისი ხანგრძლივი და დაუ-
ლალავი მოღვაწეობით მან დაიმსახურა უდიდესი სიყვარუ-
ლი და სიმპატია ქართველებისათვის მზრუნველობის და და-
ხმარების აღმოჩენით.

დაობლებული ირანში მყოფ ქართველთა სახოვადოებამ პირველ იკლისს მიწას მიაბარა ძეირფასი და საყვარელი იო-სები. დასაფლავება მოხდა თევერანში ორტოდოქ. სასაფლა-ონჯ, სხვა ათეული ძეირფასი თანამემამულების გვერდით. იოსების დასაფლავებას ღიდანალი ხალხი დაესწრო. ლირსეუ-



ლად იქნა დასაფლავებული. მისი დასაფლავება აღნიშნული პიროვნეული იყო ყველა მნიშვნელოვან განერთებში. მის საფლავს და კუმბოს ამშვენებდა გვირგვინები და ცოტხალი ყვავილები. მან დასტოვა დიდი ხსოვნა და სიყვარული, როგორც ქართველ საზოგადოების, ისე ყველა მოძმე-მექობელ დაჩაგრულ ერების საზოგადოების გულში. დაგება დრო როდესაც დაფასდება მისი ლვაწლი. დღეს კი აფორია ებულ გონებას არ შეუძლია დალაგებით აღნიშნოს მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა როგორც სერთოდ, ისე კერძოდ ემიგრაციისათვის. იოსებ გეგენავას სიკვდილი დიდი დანაკლისია არა მარტო ირანში მყოფ ქართველთა საზოგადოებისთვის, არამედ ჩვენი ერისათვის. იშვიათი ადამიანი, მგრძნობიარე გულის პატრონი, დაუფასებელი ამხანაგი და მეგობარი.

დაგძლებული ირანში მყოფი ქართველთა საზოგადოება დაგტირის, მუდამ დარჩება შენი ხსოვნა ჩვენს გულში. აწ განისვენე მშვიდობით ძვირფასო და საყვარელო ქართველო.

ითანმი მცნობელი ქართველთა საზოგადოება.

3 ივლისი 1955 წ.

ქალ. თემერანი (ირანი).

ზერილი სოჭოდან.

1955 წილს 4 სექტემბერს შესდგა სოჭოს სათვისტომოს წევრთა საერთო კრება. სხვა საკითხთა შორის იყო ახალი გამგეობის არჩევნები.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ალ. შათოვიშვილმა, რომელმაც კრებას მიმართა შემდეგი სიტყვებით: ეს პირველი კრებაა აჯანყების წლისთავის შემდეგ. შეებულებების გამო კრების მოწვევა აქამდე არ მოხერხდა, აჯანყების მნიშვნელობა თქვენთვის გასაცნობი არაა, ჩვენთვის ეს დღე უკვდავია და დაუკიტური, სავსე მწეხარებით, მაგრამ მომავლის ურყევი იმედითაც და მოუწოდა დამსწრეთ წუთის სიჩუმით და ფეხზე ადგომით პატივი სცენ აჯანყებაში დაუცულთა გმირებს.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. მ. ქლენტი და მრივნათ ბ. რიკამაძე.

ძველი გამგეობა თავის მისიას დამთავრებულათ სთვლის და უმორჩილესათ თხოულობს განთავისუფლებას. საზოგადო კრება ერთხმათ იწონებს გამგეობის წასულ მუშაობას, უცხადებს მას ულრმეს მაღლობას, განსაკუთრებით მის თავმჯდომარეს ბ. ალ. შათოვიშვილს, რომელიც მიუხედავათ ბევრი დაბრკოლებებისა, ენერგიულათ უძლვებოდა საზოგადოების საქმეს და აღვენს მათ მაღლობა გამოუცხადოს პრესის საშუალებით და ერთხმათ სთხოვს დარჩეს მომავალ წელ-

ში სრული შემადგენლობით:—თავმჯდომარეთ ბ. ალ. შათი-
 რიშვილი, მდივნათ ვ. დოლიძე და ხაზინადრათ გ. ქვარცხავა.
 გამგეობა თანზობას აცხადებს კრების თხოვნაზე და რჩება
 მომავალ წელსაც.

დამსწრე.

ქართველთა სათვისტოდღი.

ამა წლის 13 ნოემბერს შესდგა პარიზში საფრანგეთის
 ქართველთა სათვისტომოს წლიური ხაზოგადოკრება. კრებას
 თავმჯდომარეობდა ნიკო ურუშაძე, მდივნობდა გოგი წერე-
 თელი. წარსული წლის კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ,
 მოხსენება გააკეთა სათვისტომოს თავმჯდომარემ შ. აბდუ-
 შელმა წარსული წლის გამგეობის მოლვაწეობის შესახებ, სა-
 იდანაც გამოირკვა გამგეობის ნაყოფიერი და აქტიური მუშა-
 ობა, რაც სარევიზიო კომისიის სახელით ბ. კლდიაშვილმა
 დაადასტურა. კრებამ ერთხმათ მადლობა გამოუცხადა გამ-
 გეობას გაწეული შრომისათვის. კრების დაუინებით თხოვნით
 სათვისტომოს თავმჯდომარე და გამგეობის მთელი შემადგენ-
 ლობა დათანხმდა დარჩეს და მომავალ წელშიაც გააგრძელოს
 საზოგადოების სამსახური. გამგეობაში დამატებით იქნენ არ-
 ჩეული: ექ. კ. ხოჭოლავა, გ. შარაშიძე და შ. თაყაიშვილი, აქ-
 ასათიანის მაგივრათ კი, რომელმაც ითხოვა დროს უქონლო
 ბის გამო განთავისუფლება, არჩეულ იქნა ნიკო ყურულა-
 შვილი.

საზოგადო კრებამ რამდენიმეჯერ სთხოვა ერთხმად ქ-ნ
 ირენ ბაგრატიონის დარჩენილიყო გამგეობაში, მაგრამ მან
 უარი სთვეა და განუცხადა რომ ის ჩვეულებრივათ გაუწევს
 გამგეობას ყოველგვარ დახმარებას—და სთხოვა ამეამად ის
 გაენთავისუფლებიათ. კრებამ მას დიდი მადლობა გადაუხადა.

რ. არჩენიძის 75 წლის თავი.

ამა წლის 17 ნოემბერს რადიო-სადგურის «განთავისუფ-
 ლება»-ს ამერიკულმა დირექტორმა რაფენ არსენიძეს გაუმარ-
 თა იუბილე მისი 75 წლის თავის ალსანიშნავად, რომელსაც
 დაესწრენ: ამერიკულ კომიტეტის რწმუნებული ევროპაში.
 რადიო-სადგურის ყველა პასუხისმგებელი ამერიკელი თანამ-
 შრომლები და ეროვნულ რედაქციების მთავარი რედაქტო-
 რები. წარმოთქმული იყო მრავალი სიტყვები, რომელშიაც
 ორატორები აღნიშნავდნ რ. არსენიძნს ნაყოფიერ მუშაობას.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქციის სახელით ამხ. პ. სარჯვე-
 ლაძემ მისალოცი წერილი გაუგზავნა ჩვენს მცხოვან, დაულა-
 ლავ მებრძოლსა და ენერგიით საკუთ ამხ. რაფენს და უსურვა
 მას დლეგრძელი ცხოვრება.

ქართველ ყოფილ მხედართა კავშირის.

ამაწლის 14 ივნის, ყოფილ მხედართა კავშირის გამგეობის მიერ მოწყობილ იქნა მოსხენება პოლკოვნიკ ბ-ნ ცხაკაიასი შემდეგ თემაზე: «კრწანისის ბრძოლა».

მოსხენებას ქართველობა ბლომათ დაესწრო.

საფრანგეთის ცნობილ სან-სირის სამხედრო სკოლაში, 1954—56 წ. სწავლა დამთავრებულ ოფიცრებს მიეკუთვნა ჩევნი თანამებამულის ლეიტენანტ-კოლონელის ამილახვარის სახელი. ამილახვარი გმირულად დაეცა უკანასკნელ ომში. ფრანგების ჯარში ის ითვლებოდა ერთ საუკეთესო ოფიცრად.

ეს მოვლენა აღნიშნულ იქნა დიდის ცერემონიით, რომელიც მოწყობილ იქნა 31 აგვისტოს კოერტვამის ლაგერში, საფრანგეთის სამხედრო მინისტრის გენ. კონიგის თავმჯდომარეობით. მიწვეული იყო ამ დღისათვის ამილახვარის ოჯახი და საფრანგეთის ჯარში ნამსახური ქართველი ოფიცრები.

საფრანგეთში მყოფ ყოფილ ქართველ მხედართა კავშირმა მაღლობის ბარათი გაუგზავნა ბ-ნ გენერალ კონიგს ასეთი დიდი ყურადღებისა და პატივისცემისთვის.

პარტიული ცხოვრისა.

ამაწლის 6 ნოემბერს შესდგა ს. ს. დ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს, პარიზის ს. დ. ორგანიზაციის კომიტეტის და ეროვნულ საბჭოს ს.-დ. ფრანციის შეერთებული სხდომა.

სხდომამ მოისმინა მოსხენება პარიზის ბლოკში შემავალ ერების მიუნხენში მომხდარ კონფერენციის და ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის მუშაობის შესახებ. მოიწონა კონფერენციის მიერ მიღებული პოლიტიკურ-ტაქტიკური ხაზი და სათანადო დირექტივები მისცა თავის წარმომადგენლებს მეტი ნაყოფიერი მუშაობის შესაქმნელათ საბჭოს აღმ. კომიტეტში.

სხდომა მწუხარებით შეხვდა ქ-ნ არიანას გარდაცვალებას და დაავალა თავის თავმჯდომარეს თანაგრძნობის წერილი გაუგზავნოს ამხ. გრ. ურატაძეს თავის ძეირფასი მეულლის დაკარგვის გამო.

საზღვარგარეთელმა ბიურომ პარიზის კომიტეტთან შეთანხმებით გადასწყვიტა ახლო მომავალში მოიწვიოს საზღვარგარეთ არსებული პარტიული ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციის გახსნის დღე და წესრიგი ეცნობებათ ორგანიზაციებს თავის დროზე.

ამხ. კ. გვარჯალაძის ავადმყოფობის გამო დროებით მის მოადგილეთ სოციალისტურ ინტერნაციონალში ჩევნი პარტიის წარმომადგენელათ დაინიშნა ამხ. გ. ინწყირველი, რო-

მელმაც გასულ ოქტომბრის პირველ რიცხვებში სოციალ. ინტერნაციონალს წარუდგინა ჩვენი საზღვარგარეთელ ბიუროს ვრცელი მოხსენება საქარ. სოც.-დემ. პარტიის წარსული მოღვაწეობის და მიმღინარე მუშაობის შესახებ.

ამა წლის 20 ოქტომბერს შესდგა პარიზის ს.-დ. პ. ორგანიზაციის წლიური კრება, კომიტეტის წარსული მუშაობის მოხსენენათ. კომიტეტის თავმჯდომარემ ამს. ვ. ჩუბინიძემ გააკეთა კომიტეტის წარსული მუშაობის შესახებ მოხსენება, საიდანაც გამოირკვა რომ კომიტეტს პასუხი გაუცია ყველა წამოჭრილ საკითხებისათვის. კრებამ ერთხმად დასტოვა კომიტეტის მთელი შემადგენლობა. ლ. ელენტის წარმოდგენილი საპროგრამო პროექტი კონფერენციისათვის, კრებამ გადასცა ბიუროს და კომიტეტს დასკვნისათვის. მოსმენილ იქნა აბონდანში მყოფ ჩვენ მოსუც ამხანაგების მდგომარეობა.

ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამს. ვ. ერაძემ ეროვნულ საბჭოს მუშაობის და პარტიებთან მოლაპარაკების შესახებ.

«ჩვენი დარღვა»-ს უონდი.

რედაქციამ მიიღო დახმარება: მიუნხენიდან იქაურ მეგობრებში შეეგროვილი 1.600 ფრანკი და ნიკო იმნაიშვილისაგან 1.000 ფრ.; ლონდონიდან ბიძ. ქუთათელაძისაგან 1.000 ფრ. და კ. იმნაძისაგან 1.000 ფრ.; სოშოდან ქიმერიძისაგან 200 ფრ.; პარიზიდან და პროვინციიდან: ნიკო მაჭარაძისაგან 1.000 ფრ., გრ. ბარამიძისაგან 2.000 ფრ. და ეფრემ ბარხიდასაგან 3000 ფრ. სულ 10.800 ფრანკი.

რედაქცია დიდ მაღლობას უცხადებს დასახელებულ პირთ შემოწირულობისათვის.

ჩვენი უურნალი ისე ვერ იარსებებს, თუ მყითხველებმა თავიანთი წვლილი არ გაიოცს და მას დახმარება არ აღმოუჩინეს.

გადლობის გამოცხადება.

გულითად მაღლობას უძლვნით ყველა იმათ, ვინც პირადი მონაწილეობით თუ წერილობით გაიზიარეს ჩვენი მწერალება ჩვენი დაუვიწყარი მეუღლის, დეფის, დის და ბიცოლა არიანა (ელენ) წულუკიძე-ურატაძეს უდროვოთ გარდაცვალების გამო. განსაკუთრებით მაღლობას უძლვნით ქ-ნ ნამეტია გოგვაძისას, რომელიც ავათმყოფობის დროს დღიან-ლამიანათ მასთან იყო და უაღრესი მზრუნველობით უკლიდა.

გრიძა, მედება და დათიკვ ურატაძე
ბაძვ და ალ. ქურციკიძე
ფრიდონ და თეიმურაშ წელეპიძე.

ს. მათითა იშვილის ცხედარის გადმოსასვენებლათ შეგროვილი თანხის და გაწეული ხარჯების.

გაიღეს: ქ. იმნაიშვილმა 5.000 ლ., გ. გოგვაძისამ 3.000 ლ.,
ბ. წულაძემ 2.500 ლ., სოჭის ქართველთა ახალშენმა 26.000 ლ.

შ. ანთაძემ, ტ. აფხაზავამ, დ. კორდანიამ, ს. მელიავამ, ს. სარჯველაძემ, რაქ. არსენიძემ, ვ. წულაძემ, ვ. ტუღუშემა, ის. ქარსელაძემ, მ. მელუამ, ვ. ინჭირველმა, ნ. ცინცრაძემ—თითოულმა ორი ათასი ტრანკი.

ବ. ଶ୍ରୀଶ୍ରୀମଦ୍, ଧ. ଦେଲ୍ପ୍ରେସନ୍‌ଡେମ୍, ଧ. ଫାଫର୍ରେଲିମା, ଜ. କାହିନ୍‌ଡେମ୍,
୯. ଲାକ୍‌ଡେମ୍, ଧ. ହୁଦିନିନ୍‌ଡେମ୍, କ୍ଷ. ହିଂସନ୍‌ଡେମ୍, କ୍ଷ-ଧ. ଅର୍କ୍‌ବାଚ୍‌ଗାମ୍, ଜ. ଶାତ-
ଶୁଳ୍କନ୍‌ଡେମ୍, ଧ. ଫ୍ରେଲିନ୍‌ଡେମ୍, ଉ. କାଲାନନ୍ଦନ୍‌ଡେମ୍, ନ. ପାତ୍ରାଶ୍ଵିଲିମା, ଝ. ଗର୍ବ-
ଗର୍ବାଶ୍ଵିଲିମା, ଟ. ଏନ୍ଟାର୍‌କ୍ରେମ୍, ଝ. କାନ୍ଯୁଲିମା, ଧ. ବୁନ୍ଦନ୍‌ଡେମ୍, ନ. ବୁକ୍‌
ଲାଇଶ୍‌ଵିଲିମା, ଝ. ଏବାଟିନାନ୍ଦା, ଗର୍. ଫ୍ରେଲିନ୍‌ଡେମ୍, ଗର୍. କ୍ରେର୍‌ବେଲିନ୍‌ଡେମ୍,
ନ. ମନ୍ଦାନିଶ୍‌ଵିଲିମା, ଝ. ପୁଣ୍ଯକାନ୍ଦା, ଢ. ଶାରଖ୍‌ବ୍ୟେଲାନ୍‌ଡେମ୍, ଝ. ମାରଜାନ୍‌ଡେମ୍,
ଝ. ଶାରାଲିନ୍‌ଡେମ୍, ଝ. ଶ୍ରୀଶ୍ରୀମଦ୍, ବ. ଲୋନ୍‌ଦ୍ରୁବ୍, ଝ. ହୁଦିନିନ୍‌ଡେମ୍, ଝ. ମା-
ଦ୍ରାଙ୍ଗାରିନାନ୍ଦା, ଝ. ଦେଲ୍ପ୍ରେସନ୍‌ଡେମ୍, ଏ. ଏବାଟିନାନ୍ଦା, କ୍ରେର୍‌ବେଲିନ୍‌ଡେମ୍,
ନ. ପ୍ରିନ୍ସିପିଲ୍‌ବ୍ୟେଲିମା—ତିତନ୍ଦ୍ରାଶ୍ଵିଲିମା ଏତାଥି ଫରାଙ୍ଗୀ.

გ. გრიგოლიამ, კ. ქავთარაძემ, გრ. ლომაძემ, დ. სალიონაშვილმა, ვ. შალამბეგრიძემ, გრ. წერეთელმა, ლ. ფალავამ—თითოეულმა ხუთასი ფრანგი. ალ. ლეიავამ ასი ფრანგი.

სულ შეგროვდა 99.100 ლ.

სერგალს ჯიბეში აღმოჩნდა 1.720 ლ.

ნაშთი აყალღამისათვის გადადებულ თანხიდან 500 ლრ.

ମତ୍ରାଂକ 101.320 ଟଙ୍କ.

გადმოსვენებაზე დაიხარჯა . . . 66.380 ლ.

დარჩა 34.920 ფრანგი, რომელიც ინახება ჩემთან და მო-
ხმარდება საფლავზე ნიშნის დადებას, რომლის ანგარიშიც
გამოცხადებული იქნება ცალკე.

გაღმომსვენებელი კომისიის თავმჯდომარე ნ. გოგვაძისა.

უადგილობის გამა გადაიღო შემდეგი აწყობილი წერილები: ნეკროლოგი ავთანდილ ურუშაძის შესახე, შ. აბდუშელის სიტყვა მიკ. ვარდოვიანის საფლავზე, თბილისის ახალი პროცესი, რეალიზმი საძჭროთა მწერლობაში.

3 b 3 g o f o 3 b o.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

«ମନ୍ଦିରାଳ୍ପିଲାଇ କୁଣ୍ଡଳାଳୀପିଲାଇ ଏବଂ କାହାରାଙ୍ଗିଲାଇ»

ამ წიგნის შეძენა შეიძლება ამ მისამართით:

V. Tchoubinidzé

241, rue Croix Nivert. Paris XV.